ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი.

მოდული ეკონომიკური პოლიტიკა და ეკონომიკური დიპლომატია

მაგისტრანტ **მერი მაღლაკელიძის** ნაშრომი თემაზე:

საქართველოს საგარეო ვაჭრობის განვითარების ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკა

ნაშრომი შესრულებულია ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი

ირინა გოგორიშვილი

თბილისი 2019

რეზიუმე

საგარეო სავაჭრო პოლიტიკა უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში ყველა ქვეყნისთვის. გამომდინარე აქედან, საგარეო ვაჭრობისათვის ხელშეწყობა შესაბამისი პოლიტიკის გატარებით პრიორიტეტულია ჩვენი ქვეყნისთვის. იგი სხვა წყაროებთან ერთად გვაძლევს ძირითად შესაძლებლობას ქვეყანაში შემოვიდეს უცხოური ვალუტა, რაც თავის მხრივ, დადებით ზეგავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე.

ნაშრომში განვიხილავთ საქართველოს საგარეო სავაჭრო ეკონომიკურ პოლიტიკას და, აგრეთვე, წარმოვადგენთ კვლევას დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ პერიოდში. კვლევის მიზანია საგარეო ვაჭრობის განვითარების ტენდენციების წარმოჩენის, განვითარების მიმართულებების კვლევისა და სამომავლო რეკომენდაციებისა და პროგნოზების ჩამოყალიბების გზით ქვეყნის მდგრადი და სტაბილური განვითარების უზრუნველყოფის წინაპირობათა დახასიათება და ანალიზი.

ნაშრომში გამოყენებულია ქართველ და უცხოელ მეცნიერთა აგრეთვე საერთაშორისო და კერძო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევის მასალები და შეფასებები. საქართველოს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილების განხილვის საფუძველზე მოცემულია მოსაზრებები არსებული მდგომარეობის გაუჯობესებისა და რისკების შესახებ.

განხილულია საერთაშორისო შეთანხმებები, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია: ევროკავშირთან დადებული ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმება და მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციასთან გაფორმებული შეთანხმება.

Annotation

Foreign trade policy is gaining more and more importance in terms of modern globalization for every country. Hence, promoting foreign trade by implementing relevant policies is a priority for our country. Together with other sources, it gives the main opportunity to the foreign currency to enter the country, which in turn has a positive impact on the country's economic growth.

There will be discussed about the Foreign trade policy of Georgia in the work, also the research in the post-independence period will be presented there. The research aims to characterize and analyze the preconditions of ensuring sustainable and stable development of the country by means of demonstrating the tendencies of foreign trade development, directions research of development and forming the future recommendations and prognoses.

There are used materials and evaluations of research conducted by Georgian and foreign scientists as well as international and private organizations in the work. There are presented the opinions on the improvement and risks of the existing situation on the basis of consideration the constituent parts of Georgia's foreign economic policy

There are discussed about the international agreements, among them the most important is: deep and comprehensive agreement with the European Union and the agreement signed with the World Trade Organization.

შინაარსი

შესავალი.....5

I თავი. საგარეო ვაჭრობის განვითარების ეკონომიკურ თეორიული ბაზისი.....9

1.1 საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის დახასიათება და ანალიზი 9

1.2 საგარეო ეკონომიკური ურთიერთოებების ფორმები 12

1.3 საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელობა 17

1.4 საგარეო ვაჭრობის თეორიები 21

II თავი. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ძირითდი მიმართულებები.....23

2.1 დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობები 24

2.2 რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობები..... 27

2.3 აზერბაიჯანთან ეკონომიკური ურთიერთობები 31

2.4 დანარჩენ ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობები..... 32

2.5 საერთაშორისო სავაჭრო თანამშრომლობის ხელშესაწყობად განხორციელებული ეკონომიკური პოლიტიკა 37

2.6 ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (ვმო) 38

2.7 ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცეზე (DCFTA) შეთანხმება 45

III თავი. საგარეო ვაჭრობის ხელშესაწყობად განხორციელებული ეკონომიკური პოლიტიკა 49

3.1 DCFTA შეთანხმებით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარების პოლიტიკა საქართველოში 52

3.2 საქართველოში განხორციელებული სავაჭრო პოლიტიკა 58

3.3 საგარეო ვაჭრობის შემაფერხებელი ფაქტორები 69

3.4 საგარეო ვაჭრობის ხელშემწყობი პოლიტიკა 74

დასკვნა 78

გამოყენებული ლიტერატურა 80

შესავალი

მსოფლიო ეკონომიკა თანამედროვე ეტაპზე სწრაფი ტემპით ვითარდება და ქვეყნები ცდილობენ ამ ტემპს არცერთი მიმართულებით არ ჩამორჩნენ. ეროვნული ეკონომიკის განვითარება დამოკიდებულია მის სწრაფვაზე გლობალიზაციისკენ, რაც, თავის მხრივ, აძლიერებს სხვადასხვა ქვეყნის ურთიერთდამოკიდებულებას, ახდენს სასაქონლე და საფინანსო ბაზრების ფორმირებას, ეს ყოველივე კი იწვევს განსაკუთრებულ ინტერესს საგარეო ვაჭრობის მეცნიერული შესწავლისადმი.

საუკუნეთა განმავლობაში საერთაშორისო სამეურნეო კავშირები კაცობრიობის ურთიერთობის ძირითადი ფორმა იყო. ომი და ვაჭრობა უძველეს სახელმწიფოთა მთავარი საგარეო სამხედრო პოლიტიკურ ფუნქციას წარმოადგენდა.

საქართველო, თავისი მდებარეობიდან გამომდინარე, მუდმივად იყო ჩართული სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაში სხვადასხვა მიმართულებით. იმ პერიოდში, როდესაც ქვეყანა დამოუკიდებლობას არ ფლობდა ეს ურთიერთობები შეზღუდული იყო. დამოუკიდებლობის მოპოვებასთან ერთად საჭირო გახდა საგარეო ურთიერთობების დარეგულირება და სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება. საწყის პერიოდში კი ახალდამოუკიდებლობამოპოვებულ სახელმწიფოს, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის დროს ამის გამოცდილება არ აქვს.

პოლიტიკის სწორი წარმართვისთვის აუცილებელია რეფორმები, როგორებიცაა: ვალუტის შემოღება, მსოფლიო ბაზარზე თავის დამკვიდრება, საგარეო ურთიერთობების სწორი წარმართვა და სხვა. საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის მიზანია საგარეო ვაჭრობის განვითარების, საინვესტიციო პოტენციალის ზრდისა და საგარეო ვალის ეფექტიანი მართვის გზით ქვეყნის მდგრადი და სტაბილური განვითარების უზრუნველყოფა.

უკვე დიდი ხანია ქვეყნები ერთმანეთთან ურთიერთობაში შედიან სხვადასხვა ასპექტით და ადამიანების ერთმანეთთან კომუნიკაცია სხვადასხვა პირობით არ არის ახალი. თუ განვიხილავთ ვაჭრობაში ქვეყნებს შორის დამოკიდებულების საკითხებს, მივიღებთ შემდეგ დასკვნას: საქონელი, რომელსაც ადამიანები იყენებენ, მსოფლიო

ბაზარზე ფართო სპექტრით არის წარმოდგენილი, თუმცა გლობალური მასშტაბის შემცირებასთან ერთად კი თანდათან მცირდება სხვადასხვა პროდუქტზე ხელმისაწვდომობა, იმის მიხედვით თუ რა რესურსს ფლობს კონკრეტული ქვეყნის დაქვემდებარებაში მყოფი ტერიტორიები. ადამიანები, ძირითად შემთხვევაში, - მაქსიმალურად ცდილობენ გამოიყენონ მათ ხელთ არსებული შესაძლებლობები, რათა ამით მიაღწიონ, პირველ რიგში, თვითკმაყოფილების კონკრეტულ დონეს.

ადამიანები მოქმედებენ თავიანთი სურვილების შესაბამისად და ცდილობენ მაქსიმალურად დაიკმაყოფილონ ისინი, მაგრამ რა ხდება მას შემდეგ, როდესაც მოთხოვნები, რეგიონისა და იმ ბაზრის შესაძლებლობებს სცდება, რაც მათთვის ხელმისაწვდომია? სწორედ ამ შემთხვევაში წინა პლანზე გადმოდის პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ყალიბდება კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, კერძოდ იძლევა თუ არა ის შესაძლებლობას მივიღოთ მაქსიმალური სარგებელი, ვისარგებლოთ ღია ეკონომიკის დროს დაწესებული კონკურენტული ფასით და კონკურენციის თანმხლები მოვლენებით, როგორებიცაა მეცნიერული და ადამიანური პროგრესი.

ნებისმიერი ქვეყნის საგარეო ეკონომიკური განვითარება, ისევე როგორც საქართველოს განვითარება დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე, მათ შორის ერთ-ერთი ძირითადია საგარეო ვაჭრობის წარმატებულად განხორციელება. ჩვენი ქვეყნისთვის საგარეო ვაჭრობის ხელშესაწყობად გადადგმული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო 1996 წელს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში (ვმო) დამკვირვებლის სტატუსის მიღება, ხოლო 2000 წკუს 14 ივნისს ვმო-ს სრულფასოვანი სტატუსის მოპოვება. 2004 წელს კი ბრიუსელში ჩატარებული დონორების სამიტზე ევროკავშირმა დაადასტურა, რომ საქართველო სომხეთთან და აზერბაიჯანთან ერთად შედიოდა ამ ორგანიზაციის ახალ მეზობელ ქვეყნებთან დაკავშრებულ ინიციატივაში, რაც ითვალისწინებს საქართველოს დახმარებას. თუმცა, მიუხედავად მჭიდრო თანამშრომლობაზე გათვლილი ხედვისა, ევროკავშირის წარმომადგენლები ფრთხილად ეკიდებიან საქართველოს ევროკავშირის წევრად გახდომის საკითხს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია საქართველოსა და სხვა ქვეყნებს შორის მიმდინარე ღრმა და ყოვლისმომცველი ურთიერთობების ჩამოყალიბება, რაც ჩვენს ქვეყანას აძლევს განვითარების შესაძლებლობას, რადგან ამ შემთხვევაში ხელი ეწყობა თავისუფალ ვაჭრობას ქვეყნებს შორის და შესაბამისი სისტემის ფორმირებას ქვეყნის შიგნით. სწორედ ასეთი ერთ-ერთი შეთანხმება არის ევროკავშირთან დადებული ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმება (DCFTA), რაც საგარეო ვაჭრობის ხელშეწყობის მიმართულებით ერთ-ერთი სწორი გადაწყვეტილებაა და დადებით შედეგს მოუტანს ჩვენს ეკონომიკას გრძელვადიან პერსპექტივაში.

საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებისას ყურადღება მხოლოდ საერთაშორისო ვაჭრობის ჩამოყალიბებაზე არ უნდა გავამახვილოთ, მაგრამ იგი არის მნიშვნელოვანი შესაძლებლობა უცხოური ინვესტიციების მოზიდვისთვის და ქართული პროდუქტის კონკურენტუნარიანობის გაზრდისთვის.

ნაშრომის მიზანია: საგარეო ვაჭრობის ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის დახასიათება, ანალიზი და პრობლემების გამოვლენა (მათი აღმოფხვრის შესაძლო გზებისა და მექანიზმების ჩამოყალიბებით).

მიზნის შესაბამისად დასახული გვაქვს შემდეგი ამოცანები:

1. საგარეო სავაჭრო პოლიტიკის ისტორიული ასპექტების განხილვა;
2. საქართველოს თანამედროვე სავაჭრო პოლიტიკის შესწავლა და მისი შედარება უცხო ქვეყნების მდგომარეობასთან;
3. საქართველოს საგარეო ვაჭრობის ანალიზი.

კვლევის საგანი და ობიექტი: კვლევის საგანს წარმოადგენს საქართველოს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზი. კვლევის ობიექტია განხორციელებული საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ (1991 წლიდან).

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველი: კვლევის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს ქართველი და უცხოელი მეცნიერების ნაშრომები აღნიშნულ თემასთან დაკავშირები. მათ შორის აღსანიშნავია ი. გოგორიშვილი, რ. გველესიანი ო. აბესაძე, ი. ანანიაშვილი, ე. ლეკაშვილი, ი.მესხი, ი.ნათელაური და სხვა.

კვლევა ეყრდნობა საგარეო ვაჭრობის ანალიზს სატარიფო და არასატარიფო ბარიერებით. ინფორმაცია მოპოვებულია სხვადასხვა საერთაშორისო თუ ქართული ორგანიზაციისგან.

ნებისმიერი ქვეყნის ეკნომიკურ განვითარებაში დიდ როლს ასრულებს მის მიერ განხორციელებული საერთაშორისო ეკონომიკური პოლიტიკისა და დიპლომატიის თვალსაზრისით გადადგმული ნაბიჯები, რაც ქვეყანას შესაძლებლობას აძლევს აწარმოოს სწორი პოლიტიკა არა მხოლოდ საერთაშორისო მასშტაბით, არამედ სწორი გარე ეკონომიკური პოლიტიკის გატარებით დიპლომატიურ ურთიერთობებს ამყარებს სხვა ქვეყნებთან, რომელი დიპლომატიური ურთიერთობებიც ქვეყანას ეხმარება ეკონომიკური დაბრკოლებების გადალახვაში. შესაბამისად **თემის აქტუალობა** ნებისმიერი ქვეყნისთვის შესამჩნევია.

I თავი.

საგარეო ვაჭრობის განვითარების ეკონომიკურ თეორიული ბაზისი

1.1 საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის დახასიათება და ანალიზი

ეკონომიკური პოლიტიკის თეორიის ქვეშ ძირითადად მოიაზრება მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც მიზნად უნდა ისახავდეს ეკონომიკურ ზრდას, სრულ დასაქმებას, დაბალ ინფლაციას, დადებით საგადამხდელო ბალანსს, ეკონომიკური ეფექტიანობისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას, ყველა სამეურნეო სუბიექტისთვის თავისუფლების მაღალი ხარისხის მინიჭებას, გარემოს დაცვასა და გაუმჯობესებას. გარდამავალი ქვეყნებისთვის აღნიშნულ მიზნებს შესაძლოა დავუმატოთ კერძო სექტორისა და საბაზრო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება, სამეურნეო ცხოვრების ლიბერალიზაცია და სხვა.

ეკონომიკური პოლიტიკა აღმოცენდა სახელმწიფოს წარმოშობასთან ერთად. მონათმფლობელური და ფეოდალური წყობილების პირობებში ეკონომიკური პოლიტიკა და დიპლომატია გულისხმობდა გადასახადების აკრეფას, ფულის მიმოქცევის რეგულირებას და აგრარული საკითხების მოწესრიგებას. კაპიტალიზმზე გადასვლასთან ერთად, როდესაც ჯერ კიდევ სუსტი იყო მეწარმეობა, გამოიყენებოდა პროტექციონისტული, ანუ სამამულო წარმოების მფარველი პოლიტიკა, რომლის თეორიულ საფუძველს წარმოადგენდა მერკანტილიზმი. კაპიტალის ჩამოყალიბების ეტაპზე, როდესაც ჩამოყალიბდა მეწარმეთა კლასი, შემოღებული იქნა ფრიტრედერული, ანუ ვაჭრობისა და ეკონომიკის ლიბერალიზაციის პოლიტიკა, რომელსაც საფუძვლად დაედო აბსოლიტური და შეფარდებითი უპირატესობის თეორია.

ნებისმიერი პროგრესის მაძიებელი ქვეყნის, მათ შორის საქართველოს, ეკონომიკური პოლიტიკის საბოლოო მიზანი არის მატერიალური და სულიერი დოვლათის, ანუ მთლიანი ეროვნული პროდუქტის გრძელვადიანი სტაბილური ზრდის

საფუძველზე მოსახლეობის საყოველთაო კეთილდღეობის მიღწევა, რაც ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირებით რეალიზდება.

ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება საზოგადოების სამეურნეო ცხოვრებაზე და მასთან დაკავშირებულ სოციალურ მოვლენებზე სახელმწიფოებრივი ზემოქმედების პროცესია, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება გარკვეული თეორიების, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სინამდვილისა და თავისებურებების საფუძველზე შეიმუშავება ეკონომიკური პოლიტიკა. შესაბამისად ეკონომიკური პოლიტიკა არის მაკროეკონომიკური მიზნებისა და მათი მიღწევის სტრატეგიული და ტაქტიკური გზებისა და მეთოდების ერთობლიობა.(1)

საგარეო პოლიტიკა არის სახელმწიფოს მხრიდან სხვა სახელმწიფოებთან ქმედებისა და უკუქმედების ერთობლიობა, რომელიც შიდა სახელმწიფოებრივი და საერთაშორისო პროცესების გავლენით ყალიბდება. საგარეო პოლიტიკაზე გავლენას ახდენს ისეთი შიდასახელმწიფოებრივი ფაქტორები, როგორიცაა ტერიტორიის სიდიდე, სარესურსო ბაზა, ეკონომიკის განვითარების დონე, დემოგრაფიული ვითარება, იდეოლოგია და სხვა. საგარეო პოლიტიკამ, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს უსაფრთხოების ინტერესები უნდა დაიცვას, იგი იდეალურ შემთხვევაში, სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებს უნდა ემსახუროს და რაციონალური გათვლების შესაბამისად უნდა იმოქმედოს. პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს განსაზღვრავს ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელობა და აღასრულებს საგარეო საქმეთა უწყება.

საგარეო პოლიტიკის ამოცანების გადაწყვეტა ყოველდღიური დიპლომატიური საქმიანობით ხდება და მისი მიზნების შესასრულებლად სახელმწიფოს დიპლომატიური საშუალებების გარდა სამხედრო, ეკონომიკური და იდეოლოგიური ინსტრუმენტებიც აქვს.

საერთაშორისო პოლიტიკისაგან განსხვავებით, რომელიც მოიცავს ყველა მონაწილის ურთიერთქმედების საერთო სურათს, საგარეო პოლიტიკა განიხილება როგორც ერთი სუბიექტის მიერ განხორციელებული ქმედება სხვა სუბიექტის მიმართ. საგარეო პოლიტიკა მჭიდროდ უკავშირდება საშინაო პოლიტიკას, შესაძლოა ჩავთვალოთ,

რომ იგი განისაზღვრება საშინაო პოლიტიკით და მისი გაგრძელებაა საერთაშორისო არენაზე.

ნებისმიერ ქვეყანას აქვს უმთავრესი საგარეო-პოლიტიკური მიზნები, რომელთა დასაცავად იგი მზადაა მიიღოს უკიდურესი ზომები. გარდა ამისა, შეიძლება არსებობდეს სხვა, ნაკლებად მნიშვნელოვანი მიზნები, რომლებიც, წესისამებრ, დროის ჩარჩოებით განისაზღვრება (გრძელვადიანი, მოკლევადიანი). საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის თვალსაზრისით, სახელმწიფოები შეიძლება იყოს ნეიტრალური, მიუმხრობელი (ნეიტრალისტური), იზოლირებული (მაგ., იაპონია XVII-XVIIIსს.), ბლოკური (სამხედრო ბლოკების წევრი) და ა.შ.

საგარეო პოლიტიკური ორგანოების ნაწილი სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ იმყოფება (დიპლომატიური წარმომადგენლობები, მისიები და ა.შ.), ქვეყნის შიგნით კი ამ ფუნქციებს ძირითადად საგარეო საქმეთა სამინისტრო და ზოგიერთი სხვა სამთავრობო უწყება ასრულებს. საგარეო პოლიტიკური ფუნქციები აკისრია აგრეთვე პარლამენტის შესაბამის კომიტეტებსა და კომისიებს. უმთავრეს საგარეო-პოლიტიკურ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება, წესისამებრ, სახელმწიფოს მეთაურის დონეზე ხდება. ზოგჯერ საგარეო პოლიტიკის სინონიმად იხმარება ტერმინი დიპლომატია, თუმცა ეს ცნებები იდენტური არ არის, დიპლომატიას უფრო ვიწრო მნიშვნელობა აქვს და საგარეო პოლიტიკის წარმართვის ხერხებისა და მანევრირების ხელოვნებას გულისხმობს.

საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტები არის ხერხებისა და საშუალებების ერთობლიობა, რომელთა მეშვეობითაც სახელმწიფო ახორციელებს თავის საგარეო პოლიტიკას. საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტებს მიეკუთვნება პროპაგანდა, დიპლომატია, ეკონომიკური სანქციები, ომი. საგარეო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად და ეროვნული ინტერესების მაქსიმალურად დასაკმაყოფილებლად სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს ყველა ინსტრუმენტი. მათგან უკანასკნელი - ომი - მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში და ისიც თავდაცვის მიზნით უნდა გამოიყენებოდეს. ეკონომიკურ სანქციებსაც ქვეყანა განსაკუთრებულ შემთხვევაში მიმართავს. საგარეო პოლიტიკის ძირითად ინსტრუმენტად მშვიდობიან დროს დიპლომატია რჩება (ეკონომიკურიც).

სახელმწიფოს დადებითი იმიჯის შესაქმნელად და განსამტკიცებლად ძალიან დიდი როლი ენიჭება პროპაგანდასაც.

საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის კომპლექსი წარმოადგენს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ფორმების, მართვა რეგულირების მეთოდების, მიმართულებებისა და საგარეო ეკონომიკური მონაწილეების ერთობლიობას. ეფუძნება უცხო ქვეყნების გამოცდილებას და შრომის საერთაშორისო დანაწილების პროცესის უპირატესობების გამოყენებას ცდილობს. ემსახურება მოთანამშრომლე ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური მიზნების პრაქტიკულ რეალიზაციას.

1.2 საგარეო ვაჭრობა, როგორც ეკონომიკური ურთიერთობის ფორმა

საგარეო ეკონონომიკური პოლიტიკა, როგორც ნაციონალურ ფარგლებში, ასევე რეგიონული გაერთიანებების (მაგალითად: საბაჟო კავშირი, ეკონომიკური და სავალუტო კავშირი) ან საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ინსტრუმენტების პასუხისმგებლობის ქვეშ ხორციელდება. კეთილდღეობის ეკონომიკური მიზნის განხორციელება რთულია, მაგრამ შესაძლებელია ქვეყანამ ყურადღება გაამახვილოს ისეთ მიზნებზე, რომელიც კეთილდღეობის ამაღლებასთან პირდაპირ ან არაპირდაპირაა კავშირში. ჩვენი ქვეყნის შიგა ეკონომიკური პოლიტიკის მიზნები აგრეთვე ნაციონალურ საგარეო ეკონომიკურ მიზნებს განსაზღვრავს. ტიპიური საგარეო ეკონომიკური მიზნები შემდეგნაირია:

- საგადამხდელო ბალანსის წონასწორობა;
- სავალუტო კურსის სტაბილურობა;
- მიმდინარე ოპერაციების ბალანსის განსაზღვრული სალდო;
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სიდიდე.

ეს მიზნები ორიენტირებულნი არიან ძირითადი შიდა ეკონომიკური მიზნების მიღწევაზე. (2)

საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები განვითარებადია თუმცა მათი დაჯგუფება შესაძლებელია რამდენიმე ჯგუფად:

1. საერთაშორისო ტრადიციული ურთიერთობები - საგარეო ვაჭრობა (ექსპორტი, იმპორტი, რეექსპორტი, რეიმპორტი, საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობა და ა.შ.)
2. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ახალი ფორმები (დარგობრივი თანამშრომლობა პირდაპირი კავშირებით, თავისუფალი ეკონომიკური ზონები, ერთობლივი საწარმოები და ა.შ.)
3. საერთაშორისო სავალუტო და საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობები (ეროვნული ვალუტების და ფასიანი ქაღალდების ყიდვა გაყიდვა, საზღვარგარეთის ქვეყნებიდან მიღებული გრანტები, კრედიტები და ა.შ.)

საერთაშორისო ვაჭრობა ქვეყნებს შორის ქვეყანათა განვითარების ნებისმიერ ეტაპზე იყო ეკონომიკური თანამშრომლობის ყველაზე ბუნებრივი პროცესი. მისი წყალობით ქვეყნების სამეურნეო საქმიანობა ავსებდა და ავითარებდა ერთმანეთს. ეს პროცესები იმდენად განვითარდა, რომ დღეისათვის შრომის საერთაშორისო დანაწილებაში და საქონლისა და კაპიტალის ერთიანი, პლანეტარული ბაზრის შექმნის ტენდენცია შეინიშნება. შედეგად, მსოფლიო მეურნეობა ერთიან ეკონომიკურ სამართლებრივ მოდელად ყალიბდება.

საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკა ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობის ერთ-ერთი ძირითადი და უძველესი ფორმაა. იგი ემყარება ურთიერთსარგებლიანობის პრინციპს და შრომის საერთაშორისო დანაწილებას.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გავლენით, ქვეყნების ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებები და წარმოების სპეციალიზაციის გაღრმავება, ეროვნულ მეურნეობათა ურთიერთკავშირს აძლიერებს და საერთაშორისო ვაჭრობას ააქტიურებს. საერთაშორისო ვაჭრობა, რომელიც ქვეყნებს შორის ვაჭრობის ნაკადებით განისაზღვრება, წარმოებასთან შედარებით, უფრო მაღალი ტემპებით იზრდება, თუმცა ამით წარმოების განვითარების უკეთესი პირობები იქმნება, როცა ვაჭრობა ფერხდება, წარმოების განვითარებაც იზღუდება.

საგარეო ვაჭრობის მიმართულების განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისთვის, რადგან იგი მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ერთ-ერთი შემადგენელი და მისი სიდიდის განმსაზღვრელი ელემენტია, წმინდა ექსპორტის სახით.

მშპ არის დროის გარკვეულ პერიოდში ქვეყანაში წარმოებული საბოლოო საქონლისა და მომსახურების საბაზრო ფასებით გამოხატული მთლიანი ღირებულება. ასევე იგი განისაზღვრება, როგორც ეკონომიკის ყველა დარგის დამატებული ღირებულების ჯამი.

მშპ - ის რეალური ზრდა არის ქვეყანაში წარმოების მიღწეული დონის პროცენტული ცვლილების საზომი. რეგიონში ეკონომიკის გაჯანსაღება პირდაპირ აისახება საქართველოს ექსპორტზე და მონაცემების მიხედვით გვაქვს შემდეგი მდგომარეობა.

	2014	2015	2016	2017	2018	2019* იანვარი-ივნისი
საგარეოსავაჭრობრუნვა	11 462.9	9 504.4	9 407.0	10 679.1	12 492.5	5 968.3
საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი (FOB)	2 861.0	2 204.2	2 113.0	2 735.8	3 355.7	1 775.4
საქონლის რეგისტრირებული იმპორტი (CIF)	8 601.8	7 300.2	7 294.0	7 943.3	9 136.7	4 192.9
საგარეოვაჭრობის საldo	-5 740.8	-5 096.0	-5 180.9	-5 207.2	-5 781.0	-2 417.4
ექსპორტი რეექსპორტის გარეშე	1 818.8	1 604.1	1 621.2	2 010.1	2 226.2	1 123.8

წყარო GEOSTAT.GE

მონაცემებიდან ირკვევა, რომ საქართველოს საგარეო ვაჭრობაში მნიშვნელოვანი ცვლილება არ შეინიშნება, მიუხედავად იმისა რომ 2018 წელს ექსპორტი დაახლოებით 18 პროცენტით გაიზარდა, ამავდროულად გაიზარდა იმპორტის მოცულობაც დაახლოებით 15%-ით, შესაბამისად მთლიან შიდა პროდუქტში წმინდა ექსპორტის მოცულობა დიდად არ შეცვლილა.

მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მომზადებულ 2018 წლის ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები. 2018 წელს მთლიანად გლობალური ეკონომიკური ზრდა შენელდა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, წლიური ზრდა 3,7 პროცენტით განისაზღვრა, რაც წინა წლებთან შედარებით დაბალი მაჩვენებელია. ზრდის ტემპის შენელება შეიმჩნეოდა საქართველოს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებშიც. მოცემულ მდგომარეობას ხელი შეუწყო ნეგატიურმა გლობალურმა გარემომ, ადგილობრივი ვალუტის გაუფასურებამ, და ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში (თურქეთი, რუსეთი, უკრაინა) გაუარესებულმა სამომხმარებლო ბიზნეს განყობამ.(3)

2018 წელი მნიშვნელობანი იყო საექსპორტო შემოსავლების, ტურისტული შემოსავლებისა და ფულადი გზავნილების გაზრდის კუთხით. 2018 წელს საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა მშპ-ს 7,7% შეადგინა, რაც ბოლო 5 წლის განმავლობაში ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. ეს დადებითი ტენდენცია კი განაპირობა მომსახურებით ვაჭრობის პროფიციტის მატებამ და მეორადი შემოსავლის დადებითი სალდოს ზრდამ. საქონლით ვაჭრობის ბალანსი 2018 წელს 8,1 პროცენტით გაუარესდა, რაც აბსოლიტურ გამოსახულებაში 307 მლნ აშშ დოლარია.

საქონლით ვაჭრობა მიმდინარე ანგარიშის ყველაზე დეფიციტური კომპონენტია. 2018 წელს საქონლით ვაჭრობის დეფიციტი მთლიანი შიდა პროდუქტის 0,2 პროცენტული პუნქტით გაუარესდა.

მიმდინარე ანგარიშების კომპონენტების ფარდობა მშპ-სთან. წყარო საქართველოს ეროვნული ბანკი



2018 წლის განმავლობაში ექსპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში ქართული პროდუქტის მიმართ გაზრდილი მოთხოვნით აიხსნება. ექსპორტის უფრო მეტად ზრდა გარკვეულწილად შეაფერხა თურქეთის ეკონომიკაში არსებულმა სიძნელეებმა.

ბოლო წლებში ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები ზრდის მაღალი ტემპის გამო საქონლის ექსპორტიდან მიღებულ შემოსავლებს დაუახლოობდა, რაც სავაჭრო დეფიციტიდან გამომდინარე, მიმდინარე ანგარიშის ბალანსის გაუმჯობესებაში არსებით როლს თამაშობს.

საქონლისა და მომსახურების ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების ფარდობა მშპ-სთან. წყარო საქართველოს ეროვნული ბანკი



საბოლოოდ საგარეო ვაჭრობა მნიშვნელოვანი როლის მატარებელია ეროვნული ეკონომიკისთვის, რადგან მისი გაზრდა ან შემცირება პირდაპირპროპორციულად აისახება ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტზე. შესაბამისად მნიშვნელოვანია, როგორ პოლიტიკას გაატარებს ქვეყანა საგარეო ვაჭრობის ხელშესაწყობად, მისი წახალისებისა და განვითარებისათვის. (4)

1.3 საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელობა

საქართველო რუსეთს 1801 წელს შეუერთდა რის შედეგადაც მან დაკარგა დამოუკიდებლობა, ხოლო ბაგრატიონთა გვარის 18 საუკუნოვანი მონარქია დასრულდა. ამის შემდგომ პერიოდში 1917-21 წწ. ქვეყანამ აღიდგინა დამოუკიდებლობა რომელიც ქართველი კომუნისტებისა და იოსებ სტალინის მეცადინეობით კვლავ დაკარგა. საბოლოოდ დამოუკიდებლობა საქართველომ საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად 1991 წელს მიიღო.

სუვერენული სახელმწიფოს სტატუსის მოპოვების შემდეგ ქვეყანაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები განხორციელდა. თავდაპირველად საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები სპონტანურად ვითარდებოდა მაგრამ 1995 წელს სავალუტო რეფორმამ რომელსაც ეროვნული ვალუტის შემოღება მოჰყვა და 1996 წელს ქვეყნისთვის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში დამკვირვებლის სტატუსის მინიჭებამ დასაბამი მისცა საქართველოს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებას. საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის მიზანია საგარეო ვაჭრობის განვითარების, საინვესტიციო პოტენციალის ზრდისა და საგარეო ვალის ეფექტიანი მართვის გზით ქვეყნის მდგრადი და სტაბილური განვითარების უზრუნველყოფა.

საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილი საგარეო სავაჭრობის განვითარების პოლიტიკას განეკუთვნება, რომლის წარმატებულად განხორციელებისთვის

აუცილებელ პირობას წარმოადგენდა პოლიტიკური მოსაზრებებით მოტივირებული გადაწყვეტილება ჯერ 1996 წელს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში დამკვირვებლის სტატუსის მიღებასთან დაკავშირებით ხოლო 2000 წლის 14 ივნისს ვმო-ს სრულუფლებიანი წევრის სტატუსის მოპოვება. 2004 წელს ბრიუსელში ჩატარებულ დონორების სამიტზე ევროკავშირმა დაადასტურა, რომ საქართველო სომხეთთან და აზერბაიჯანთან ერთად შედიოდა ამ ორგანიზაციის ახალ მეზობელ ქვეყნებთან დაკავშირებულ ინიციატივაში. იგი ითვალისწინებს საქართველოს დახმარებას რომ ის ევროკავშირის ქვეყნებთან შესაბამისობაში მოვიდეს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მიუხედავად მჭიდრო თანამშრომლობაზე გათვლილი ხედვისა, ევროკავშირის წარმომადგენლები ყოველთვის ფრთხილად ეკიდებოდნენ საქართველოს ევროკავშირის წევრად გახდომის საკითხს. (3)

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში დინამიურმა და სწრაფად ცვალებადმა პროცესებმა, გლობალიზაციამ და საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ შესაძლებლობებთან ერთად ახალი საფრთხეები და გამოწვევები გააჩინა. მთელი მსოფლიოს მასშტაბით პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, შეიარაღებული კონფლიქტები, სამოქალაქო ომები და რელიგიურ, ეთნიკურ და სოციალურ ნიადაგზე არსებული დაპირისპირებები ბევრ არასასურველ საფუძველს ქმნის ტერორიზმისა. ინფორმაციის გავრცელების სისწრაფე და სოციალური ქსელების გაზრდილი როლი, ასევე მიზნების მისაღწევად პროპაგანდისტული და დეზინფორმაციული მეთოდების გამოყენება ცალკეული ქვეყნებისა და ინსტიტუტების მხრიდან დროულად ადაპტირებასა და რეაგირებას მოითხოვს.

ბოლო წლებში პოპულიზმისა და ევროსკეპტიკური ტენდენციების გაძლიერებამ, მიგრაციულმა საფრთხეებმა და რუსეთის აგრესულმა ქმედებებმა დამატებითი კორექტივები შეიტანა კონტინენტის ტრადიციულ პოლიტიკურ ლანდშაპტშიდა წარმოაჩინა პოლიტიკური უსაფრთხოების გარემოს გაუმჯობესების აუცილებლობა.

მსოფლიო კონომიკაში მიმდინარე პროცესები, სავაჭრო ურთიერთობების დარეგულირების მცდელობები და ახალი სატრანზიტო-სატრანსპორტო დერეფნების

შექმნა ბევრად უფრო აადვილებს საქონლისა და მომსახურების მიმოქცევას და ხელს უწყობს ეკონომიკური კავშირების გაღრმავებას.

გლობალური მასშტაბით მიმდინარე მეოთხე ინდუსტრიული (ციფრული) რევოლუცია ქმნის ახალ შესაძლებლობებს, რაც მოითხოვს გარემოსთან სწრაფ ადაპტირებას. პარალელურად იზრდება ინტერესი, როგორც ახალი და განახლებადი ენერგიის წყაროების მოპოვების, ისე ტრადიციული ენერგორესურსების ტრანსპორტირების ალტერნატიული მარშუტის მიმართ. თუმცა, იმავდროულად, არსებობს ენერგორესურსებისა და მათი ტრანსპორტირების მარშრუტების პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენების საფრთხეც.

თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში არსებული გამოწვევები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აღმოსავლეთ ევროპა-შავი ზღვის რეგიონზე. 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოში განხორციელებულმა ფართომასშტაბიანმა სამხედრო აგრესიამ, რასაც მოყვა 2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია და დონეცკისა და ლუგანსკის რეგიონების დროებით ოკუპაცია, კიდევ უფრო მეტად გააუარესა უსაფრთხოების გარემო რეგიონში, სადაც ათწლეულების მანძილზე მოუგვარებელი კონფლიქტები სერიოზულ გამოწვევად რჩება. (5)

რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების - აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ოკუპაცია და ანექსიისკენ გადადგმული ნაბიჯები, მზარდი მილიტარიზაცია, გახშირებული პროვოკაციები, მათ შორის საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მავთულხლართებითა და სხვა ხელოვნური ბარიერებით თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა, საოკუპაციო ხაზსა და ოკუპირებულ რეგიონებში უკანონო დაკავებები და გატაცებები, ადამიანის უფლებების დარღვევები, ეთნიკური დისკრიმინაცია და სხვადასხვა სახის უკანონო შეზღუდვების დაწესება, ასევე რუსეთის მიერ საერთაშორისო ვალდებულებების შეუსრულებლობა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების უგულვებელყოფა სერიოზულ საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ რეგიონის, არამედ მთლიანად ევროპული და ევროატლანტიკური სივრცის უსაფრთხოებას.

რუსეთის ფედერაცია თავისი საგარეო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, სამხედრო ძალასთან ერთად, სულ უფრო აქტიურად იყენებს ჰიბრიდული ომის მეთოდებს და ცდილობს ბიძგი მისცეს ცალკეული ქვეყნების საზოგადოების ყველა ფენაში ტრადიციულად ჩამოყალიბებული დასავლური ღირებულებების გადახედვის პროცესს. მსოფლიოსა და რეგიონში არსებული ტენდენციების გათვალისწინებით, საქართველოს საკუთარი ინტერესების დაცვა მოუწევს რთულ, არაპროგნოზირებად და ტურბულენტურ გარემოში, სადაც სხვა ნეგატიურ ფაქტორებთან ერთად, დიდ როლს ითამაშებს საერთაშორისო მოთამაშეების მხრიდან ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა.

მიუხედავად ამისა, საქართველო, როგორც ევროპული ტიპის დემოკრატია, გლობალური და რეგიონული მასშტაბით გააგრძელებს საკუთარი პოზიტიური როლის შეტანას მშვიდობის, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებათა დაცვისა და რეალიზაციის კუთხით. ამავდროულად, არსებული საერთაშორისო გარემო საქართველოსთვის გამოწვევებთან ერთად ახალ პოლიტიკურ და ეკონომიკურ შესაძლებლობებსაც ქმნის. (6)

სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მდებარეობისა და აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი სატრანზიტო და სატრანსპორტო დერეფნის ფუნქციის გონივრული გამოყენებით საქართველოს მდგრადი ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობა ეძლევა. შექმნილ ვითარებაში პრაგმატული და შედეგზე ორიენტირებული საგარეო პოლიტიკის გატარება უზრუნველყოფს ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის განმტკიცებას, ინსტიტუციური დემოკრატიის შემდგომ კონსოლიდაციას, მოსახლეობის კეთილდღეობასა და საერთო ევროპულ ოჯახში, ასევე, გლობალური მასშტაბით საქართველოსთვის ღირსეული ადგილის დამკვიდრებას.

საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელობის გასაგებად განვიხილოთ საქართველოს 2019-2022 წლის საგარეო პოლიტიკის სტრატეგია.

საქართველოს უმთავრესი სტრატეგიული მიზანია ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცება და ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენა საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში. ქვეყნის გასამთლიანებლად

საქართველოს საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ე.წ. დამოუკიდებლობის არაღიარების უზრუნველყოფა, ქვეყნის დეოკუპაციის, იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა საკუთარ სახლებში უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების, საოკუპაციო ხაზებით გაყოფილ მოსახლეობას შორის შერიგებისა და ნდობის აღდგენის ხელშეწყობა, ადგილზე მდგრადი მშვიდობისა და უსაფრთხოების მიღწევა.

1.4 საგარეო ვაჭრობის თეორიები

საერთაშორისო ვაჭრობას აქვს თავისი თეორიული დასაბუთება. განიხილება თავისუფალი, შეუზღუდავი ვაჭრობა და პროტექციონისტული პოლიტიკა, როცა სახელმწიფო, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, საგარეო ვაჭრობას აქტიურად არეგულირებს, ამ ორ მიდგომას შორის ძირითადად თავისუფალ ვაჭრობას ირჩევენ.

ვაჭრობას იმდენად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საერთაშორისო ურთიერთობებში, რომ ზოგიერთი მეცნიერისათვის ის ომთან ერთად საერთაშორისო ურთიერთობების ძირითად შემადგენელ ნაწილად მიიჩნევს.

საერთაშორისო ვაჭრობა ძალიან დიდ გავლენას ახდენს საერთაშორისო პოლიტიკაზე, რადგან იგი ქმნის მჭიდრო საქმიან კავშირებს ქვეყნებს შორის და შესაძლებელია მოგვევლინოს მშვიდობის ფაქტორად. თანამედროვე მსოფლიოში ურთიერთდამოკიდებულების ზრდასთან ერთად საბაზრო ეკონომიკა კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის საგარეო ვაჭრობას. დღეს საგარეო ვაჭრობაში მონაწილეობას იღებს ყველა ქვეყანა, რადგან ვერცერთი მათგანი ვერ აახერხებს თავისი წარმოებული პროდუქციით უზრუნველყოს თავისი თავი.

შრომის საერთაშორისო დანაწილების პირობებში ქვეყანას ყოველთვის სჭირდება გარკვეული პროდუქციის იმპორტირება, ხოლო საიმპორტო ხარჯების დაფარვა შესაძლებელია ექსპორტიდან მიღებული შემოსავლით.

საერთაშორისო ვაჭრობის არსისა და ბუნების ახსნას ცდილობს ორი ერთმანეთისგან განსხვავებული თეორია. ერთი ეფუძნება ლიბერალურ ტრადიციებს, მეორე - ნაციონალისტურს. საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალური თეორია ადამ სმიტისა და დევიდ რიკარდოს თეორიებისგან იღებს საფუძველს, თუმცა თანამედროვე ვარიანტი გარკვეული თვალსაზრისიღ სახეცვლილია.

ვაჭრობის ლიბერალური თეორიის მომხრეებს სჯერათ ღია სისტემის, რომელზეც კანონიერების პრინციპი ვრცელდება. მათი აზრით თავისუფალი ვაჭრობა მეტნაკლებად მომგებიანია მასში ჩართული ყველა მხარისთვის. ლიბერალური თეორიის მთავარი დადებითი თვისებაა მაქსიმალური ეფექტიანობა და მსოფლიო სიმდიდრის გაზრდა.

ვაჭრობის ღია სისტემა მოითხოვს ქვეყნებისგან, რომ განახორციელონ სამართლიანი და დისკრიმინაციისგან თავისუფალი შეღწევა. ამისათვის ქვეყნები ცდილობენ სხვა ქვეყნებს შეუქმნან ხელსაყრელი პირობები თავიანთ ბაზარზე შესაღწევად - შეამცირონ სავაჭრო ბარიერები, დადონ მრავალმხრივი და ორმხრივი შეთანხმებები. მნიშვნელოვანია, რომ ვაჭრობის ბარიერებში ძირიტადად მოიაზრებოდა სატარიფო და არასატარიფო შეზღუდვები, თუმცა მათთან ერთად ნელ-ნელა წინა პლანზე გადმოდის სავაჭრო კანონმდებლობისა და პრაქტიკის გამჭვირვალობა, თანაბარი პირობების შექმნა, რათა არ იყოს კონკურენცია შეზღუდული.

თავისუფალი ვაჭრობის ოპონენტები მიიჩნევენ, რომ სრულიად თავისუფალი ვაჭრობა მომებიანია მხოლოდ განვითარებული და ძლიერი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის. შედარებით დაბალგანვითარებული ქვეყნებისთვის, რომელთა მიერ ნაწარმოები პროდუქცია ნაკლებად დივერსიფიცირებულია, უფრო კარგი შედეგის მომტანია პროტექციონისტული პოლიტიკა.

ნაციონალისტები ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ საგარეო ვაჭრობას და მისი განხორციელების შემთხვევაში მიაჩნიათ, რომ ექსპორტი უნდა აღემატებოდეს იმპორტს. ლიბერალების შეხედულებით საერთაშორისო ვაჭრობა მშვიდობის გარანტიაა.

II თავი

საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ძირითადი მიმართულებები

ქვეყნების უმრავლესობა, მათ შორის საქართველოც ცდილობს ხელი შეუწყოს საგარეო ვაჭრობას, რათა ჰქონდეს დადებითი სავაჭრო ბალანსი. დადებითი სავაჭრო ბალანსი თავის თავში მოიაზრებს უფრო ნაკლების გადახდას საზღვარგარეთიდან შემოტანილ პროდუქციაში, ვიდრე უცხოელებმა გადაიხადეს საქართველოდან გატანილ პროდუქციაში.

უარყოფითი სავაჭრო ბალანსი ნიშნავს, რომ საქონლის იმპორტი აღემატება ექსპორტს. ე.ი ცალკეული ქვეყანა იხდის უფრო მეტს საზღვარგარეთიდან შემოტანილ პროდუქციაში, ვიდრე უცხოელები იხდიან ამავე ქვეყნიდან გატანილ პროდუქციაში. მსგავს შემთხვევაში ქვეყანაში შემოდის ნაკლები ვალუტა, რაც უარყოფითად აისახება ეროვნული ვალუტის კურსზე, თუ მისი დაბალანსება არ მოხდება სხვა წყაროებიდან. როდესაც უარყოფით სავაჭრო სალდოს აქვს შემცირების ტენდენცია, მცირდება ვალუტის ის დანაკლისი, რისი დაბალანსებაც უწევს ქვეყანას სხვა წყაროებიდან, რააც დადებითი ტენდენციაა.

წყაროები საიდანაც ხდება სავაჭრო დეფიციტის დაბალანსება, შესაძლებელია იყოს მომსახურების სექტორი (ტურიზმი, სატრანსპორტო მომსახურება) და უცხოური კაპიტალის მოზიდვა, მათ შორის საგარეო ვალის აღება.

მოცემულიდან გამომდინარე, ქვეყნისთვის დადებითი სავაჭრო ბალანსის შენარჩუნება მნიშვნელოვანია, რადგან ამ შემთხვევაში ვალუტაც მყარია, მთლიანი შიდა პროდუქტი იზრდება და ქვეყანა ეკონომიკური ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

ქვეყნის საგარეო ვაჭრობის არსებული მდგომარეობის შესასწავლად მნიშვნელოვანია განვიხილოთ მისი სავაჭრო ბალანსის მდგომარეობა, რაზე მოქმედებს სავაჭრო ბალანსის უარყოფითი სალდო, რას შეუძლია გაზარდოს საქართველოს საექსპორტო პოტენციალი,

განვიხილოთ ქვეყნები და ქვეყანათა ჯგუფები, რომლებთანაც დამყარებული სავაჭრო კავშირები ეკონომიკას ზრდის.

2.1 დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობები

განვითარებადი ქვეყნები წარმოადგენს ისეთ ქვეყნებს, სადაც შედარებით დაბალი ცხოვრების დონეა, განუვითარებელია ინდუსტრია და საშუალო ან დაბალი ჰუმანური განვითარების ინდექსი გააჩნია. განვითარებაში, ზოგადად, მოიაზრება თანამედროვე ინფრასტრუქტურის ათვისება და დანერგვა, დაბალი დამატებითი ღირებულების სექტორებიდან (მაგ. სასოფლო მეურნეობა და ბუნებრივი რესურსების წარმოება) გადასვლა უფრო მაღალტექნოლოგიურსა და ინტელექტუალურ სფეროებში. განვითარებული ქვეყნები გამოირჩევიან ეკონომიკური ზრდის თვითუზრუნველყოფითა და ცხოვრების მაღალი დონით. განვითარების არც ისე მაღალი ხარისხით გამოირჩევიან ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების ძირითადი ნაწილი. აღსანიშნავია, რომ მათ ეკონომიკური პრობლემების გადასაწყვეტად, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ ჩამოაყალიბეს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, რომელიც პოსტსაბჭოურ ქვეყნებს უნდა დახმარებოდა ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაში.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ) არის საერთაშორისო ორგანიზაცია (ალიანსი), რომელიც ამჟამად შედგებ 9 ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკისგან, აზერბაიჯანი, ბელორუსია, თურქმენეთი (ასოცირებული წევრი), მოლდოვა, სომხეთი, რუსეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი და ყირგიზეთი. დსთ შეიქმნა საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად, თავდაპირველად მასში ყველა პოსტ საბჭოური სახელმწიფო იყო გაერთიანებული. საქართველოს მიერ დსთ-ს დატოვება მოხდა 2009 წელს. (10)

საქართველოს მიერ დსთ-ს დატოვების მიუხედავად სავაჭრო ურთიერთობები საქართველოსა და დსთ-ს წევრ ქვეყნებს შორის არ შექყვეტილა და პარტნიორობა გაგრძელდა. თუ დავაკვირდებით ბოლო 5 წლის საქართველოს ექსპორტ-იმპორტის

მონაცემებს ქვეყნების ჯგუფების მიხედვით, შევამჩნევთ, რომ დსთ-ს ქვეყნებთან საქართველოს საგარეო ვაჭრობა მნიშვნელოვანია. განსაკუთრებით საექსპორტო მონაცემებში, სადაც მისი პარტნიორული ადგილი პირველ მეორე პოზიციებს არ სცდება და ევროკაშირის შესაბამის მონაცემებს ყოველთვის აღემატება.

საქართველოს იმპორტი ქვეყნების ჯგუფების მიხედვით ბოლო 5 წლის განმავლობაში (ათასი აშშ დოლარი). Geostat.ge

	2013	2014	2015	2016	2017	2018*
იმპორტი - სულ	**8,022,546.4**	**8,601,814.4**	**7,300,293.1**	**7,293,805.6**	**7,942,684.0**	**9,122,084.3**
ევროკავშირის ქვეყნები (EU)	2,266,083.7	2,371,979.7	2,080,879.4	2,214,826.6	2,200,019.4	2,505,293.8
დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (CIS) ქვეყნები	2,177,586.5	2,127,489.9	1,968,000.4	1,981,193.2	2,317,774.4	2,689,264.1
შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ქვეყნები (BSEC)	4,025,579.2	4,356,913.4	3,579,985.1	3,580,626.0	3,909,559.4	4,347,536.3
ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნები (OECD)	3,887,185.7	4,344,530.5	3,607,166.1	3,768,613.3	3,856,152.6	4,396,779.3
სუამ-ის (GUAM) ქვეყნები	1,269,873.4	1,200,356.0	1,004,593.5	921,162.3	1,024,229.2	1,114,950.9

საქართველოს ექსპორტი ქვეყნების ჯგუფების მიხედვით ბოლო 5 წლის განმავლობაში (ათასი აშშ დოლარი). Geostat.ge

	2013	2014	2015	2016	2017	2018*
ექსპორტი - სულ	**2,910,314.5**	**2,861,045.2**	**2,204,685.3**	**2,112,912.8**	**2,735,486.5**	**3,354,490.1**
ევროკავშირის ქვეყნები (EU)	607,204.0	624,201.4	645,214.1	565,521.8	655,116.1	730,274.8
დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ქვეყნები (CIS)	1,621,095.7	1,465,298.7	840,936.6	737,522.4	1,184,758.1	1,669,472.9
შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ქვეყნები (BSEC)	1,778,144.4	1,676,758.4	1,089,229.4	967,355.2	1,489,799.3	1,948,757.3
ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნები (OECD)	841,524.7	943,526.1	769,200.7	742,927.8	793,729.5	917,076.9
სუამ-ის (GUAM) ქვეყნები	917,066.8	689,105.1	307,361.3	227,738.7	399,930.7	680,700.4

მნიშვნელოვანია განვიხილოთ ექსპორტ-იმპორტი ქვეყნის პარტნიორი ორგანიზაციების მიხედვით, რადგან ეს დაგვეხმარება სწორად წარვმართოთ პოლიტიკა,

გამოვასწოროთ შედეგები და წარვმართოთ იმ მიმართულებით, რომელიც მეტ ეკონომიკურ სარგებელს მოიტანს საქართველოსთვის.(11)

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, პოსტსაბჭოურ ქვეყნებში გაჩნდა რიგი პრობლემები ეკონომიკური, სოციალური და სხვა მიმართულებებით. აუცილებელი ხდებოდა მათი გადაჭრის გზების მოძიება, შესაბამისად მოქმედებდნენ მთავრობებიც და რეფორმებს ატარებდნენ სხვადასხვა მიმართულებით, რაც მეტნაკლებად წარმატებისკენ უკვალავდა გზას სხვადასხვა ქვეყანას.

განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური ზრდისა და სტაბილურობის მიღწევისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს საგარეო ვაჭრობას. ექსპორტის შედეგად ქვეყანაში შემოდის უცხოური ვალუტა, რაც მნიშველოვანი ნაწილია ქვეყანაში შემომავალ მთლიან უცხოურ ვალუტაში.

საგარეო ეკონომიკური კავშირები დამოკიდებულია სამთავრობო გადაწყვეტილებებზე საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებით, ამაზეა დამოკიდებული უცხოური კაპიტალდაბანდებები და ვალუტის ღირებულება. საბოლოოდ სახელმწიფო საგარეო პოლიტიკის წარმართვის მნიშვნელობა იზრდება ყველა მიმართულებით. მთავრობები ცდილობენ, რომ მიიღონ ისეთი გადაწყვეტილებები, რაც ქვეყნის კეთილდღეობას გააუმჯობესებს.

საქართველო ცდილობს ეკონომიკური კავშირები შეინარჩუნოს დსთ-ს ქვეყნებთან, გეოგრაფიული სიახლოვისა და სხვა ეკნომიკური ფაქტორების გამო, შესაბამისად ჩართულია მათთან ურთიერთობაში. ბოლო შეხვედრა გაიმართა 2019 წლის 6 მარტს ყაზახეთში აკრედიტებულ საქართველოსა და დსთ-ს წევრი ქვეყნების დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელებთან. დსთ-ს წევრ ქყვეყნებში, საქართველოსთან ეკონომიკური თანამშრომლობის მიმართულებით განსაკუთრებით გამოირჩევა რუსეთი და აზერბაიჯანი, რომელთაც საქართველოს საგარეო სავაჭრო მიმართულებით ბოლო წლების განმავლობაში წამყვანი პოზიციები უჭირავთ. შემდეგ მოდის სხვა ქვეყნები, რომლებთანაც საქართველო ცდილობს გაამყაროს ეკონომიკური კავშირები, თუმცა დღევანდელი მოცემულობა მოცემულობად რჩება.

2.2 რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობები

საქართველოსა და რუსეთის ეკონომიკური ურთიერთობების მიმოხილვით შესაძლებელია პირდაპირ გავყვეთ ამ ორი ქვეყნის ისტორიულ ჯაჭვს. საქართველოსთვის რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობა მნიშვნელოვანია ბევრი კონტექსტით. ურთოერთობებს თან გასდევს დამოკიდებულება ქვეყნის დამოუკიდებლობასთან, თავისუფლების ხარისხთან, საბჭოთა კავშირის მიმართ აღქმასთან.(12)

საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის დაძაბული ურთიერთობების დეესკალაციისთვის, საქართველო, საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენებს საქართველოს მთავრობის ინიციატივით რუსეთთან ჩამომყალიბებულ არაფორმალური პირდაპირი დიალოგის ფორმატს, სადაც განიხილება ორმხრივი ურთიერთობები არსებული ვაჭრობის, სატრანსპორტო კავშირების და კულტურულ ჰუმანიტარული ურთიერთობების სფეროში.(26)

რუსეთის ფედერაციას საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოსთან მრავალმხრივი ურთიერთობა ჩამოუყალიბდა, თუმცა აგრესიის პირველ გამოვლენად შეიძლება ჩაიტვალოს 1993 წლის განცხადება, საქართველო-რუსეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეწყვეტის შესახებ. 2006 წელს ქართული პროდუქტის მიმართ შემოღებული სანქციებით რუსულმა ბაზარმა ნდობა დაკარგა, თუმცა:

- რუსეთი საქართველოდან იმპორტს ზრდის, რის შედეგადაც იგი ზრდის ეკონომიკური ზეგავლენის შესაძლებლობას, რაც შესაძლებელია საქართველოსთვის არასასურველი მიზნებისათვის გამოიყენოს, საქართველოსთვის შესაძლოა დააწესოოს სხვადასხვა ფიტოსანიტარული, ვეტერინარული, ადმინისტრაციული, ტექნიკური და სხვა სახის ბარიერები. რაც დიდ დარტყმას მიაყენებს საქართველოს ეკონომიკა და საბოლოოდ ეს უარყოფითი ეფექტი იქნება ქვეყნის განვითარებისთვის;

- რუსეთ-საქართველოს შორის დაძაბული ურთიერთობების ფონზე, მნიშვნელოვანი რუსული კაპიტალლდაბანდებები ქართული ეკონომიკისთვის დადბითი მოვლენაა, თუმცა ეს რუსეთის მხარეს ექსპანსიის საშუალებას აძლევს;
- რუსეთს აქვს შესაძლებლობა, ქართველებს, რომლებიც ამ ქვეყანაში ცხოვრობენ გარკვეული დისკომფორტი შეუქმნას, გამოაძევოს ქვეყნიდან და გაატაროს სხვა ღონისშიებები, რაც შეამცირებს რუსეთიდან საქართველოში კერძო ფულად ნაკადებს;
- რუსეთ-საქართველოს შორის ეკონომიკური კავშირები ძირითადად მოიცავს საქართველოდან ალკოჰოლური და მინერალური სასმელების, სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტს.

რუსეთი საქართველოს მნიშვნელოვან სავაჭრო პარტნიორად რჩება, საქსტატის უახლესი 2019 წლის მონაცემებითაც კი ქართული ექსპორტირებული პროდუქტის დაახლოებით 16% და იმპორტის დაახლოებით 10% რუსეთზე მოდის. ძველი მონაცემები კი ცვალებადია,1995 - წლიდან 2011 წლამდე რუსეთთში ექსპორტი იკლებდა, 2011 წლიდან კი დღემდე ექსპორტი იმატებს, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ცდილობს მეტად მოერგოს ევროპულ ბაზარს, რუსეთი მაინც მნიშვნელოვან სავაჭრო პარტნიორად რჩება.

საქართველო-რუსეთის ექსპორტ-იმპორტის პროცენტული წილი 1995-2018 წლებში ქვეყნის მიერ განხორციელებულ მთლიან საგარეო ვაჭრობაში. წყარო geotat.ge

	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002
იმპორტი	10.1%	17.0%	12.5%	14.2%	15.2%	13.1%	12.2%	15.3%
ექსპორტი	31.3%	28.4%	28.4%	28.7%	20.0%	20.7%	23.2%	17.7%
	2003	**2004**	**2005**	**2006**	**2007**	**2008**	**2009**	**2010**
იმპორტი	13.9%	13.8%	15.3%	15.1%	11.0%	6.7%	6.5%	% 5.5
ექსპორტი	18.2	16.2	17.8	8.1	3.7	2.0	1.9	2.1
	2011	**2012**	**2013**	**2014**	**2015**	**2016**	**2017**	**2018***
იმპორტი	5.5%	5.9%	7.3%	6.7%	8.6%	9.3%	9.9%	10.3%
ექსპორტი	1.7%	2.0%	6.6%	9.6%	7.4%	9.8%	14.5%	13.0%

აღნიშნული ციფრები და ტენდენცია აჩვენებს, რომ რუსეთის ბაზრის მნიშვნელობა საქართველოსთვის და ექსპორტის მაჩვენებლის ზრდისთვის, მაღაალია. რუსეთის ხელისუფლებას ეს კარგად ესმის და ეკონომიკური ბერკეტების გამოყენება მეზობელ ქვეყნებზე პოლიტიკური ზეწოლისთვის მისთვის ჩვეულებრივი პრაქტიკაა. (24)

პოლიტიკურ გადაწყვეტილებად შეიძლება განვიხილოთ რუსეთის მიერ საქართველოსთან თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის გაუქმება, თუმცა საქართველო და რუსეთი (2011 წლიდან) (25) მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრები არიან და ვერ შეძლებენ იმპორტზე დადგენილ სატარიფო გადასახადზე მეტის დაწესებას.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის მჭიდრო კავშირი რუსეთის ეკონომიკასთან, მნიშვნელობას სძენს მოცემული ეკონომიკის ზრდას ჩვენი ქვეყნისთვის. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ბოლო შეფასებით , რუსეთის ეკონომიკური ზრდა 2018 წელს 1.7 პროცენტი იყო, რაც მოსალოდნელ მაჩვენებელზე ოდნავ მაღალია. მიუხედავად ამისა, გაჯანსაღების პროცესი ნელი ტემპებით მიმდინარეობდა, რაც, ძირითადად, განპირობებულია რუბლის გაუფასურებით, გაზრდილი დღგ-ს გამო კერძო მოხმარების შემცირებული დინამიკითა და სასოფლო-სამეურნეო სექტორის შესუსტებული აქტივობით. რუსეთის ეკონომიკაზე უარყოფითად აისახა ნავთობის ფასების საგრძნობი შემცირებაც, თუმცა აღნიშნული ნაწილობრივ დაბალანსებულია რუსეთ-ოპეკის შეთანხმებით ნავთობის მოპოვების შეკვეცის შესახებ. წლიურმა ინფლაციამ რუსეთში 2.9 პროცენტი შეადგინა. (13)

რუსეთში განხორციელებული ექსპორტის მოცულობის წლევანდელი მონაცემები შემდეგნაირია

	იანვარი-ივნისი	იანვარი	თებერვალი	მარტი	I კვ.
სულ ექსპოტი	**1,775,418.6**	**238,766.2**	**265,276.4**	**320,940.2**	**824,982.7**
სულ იმპორტი	**4,192,859.8**	**596,238.0**	**648,146.3**	**755,703.9**	**2,000,088.2**
	ექპორტი	39,196.9	42,042.3	54,116.0	**135,355.1**
	იმპორტი	48,860.1	73,232.5	69,344.8	**191,437.4**
		აპრილი	მაისი	ივნისი	II კვ.

სულ ექსპოტი		**307,401.7**	**335,784.8**	**307,249.4**	**950,435.9**
სულ იმპორტი		**744,030.0**	**760,754.1**	**687,987.5**	**2,192,771.6**
	ექსპორტი	23,108.4	31,671.8	29,865.6	**84,645.8**
	იმპორტი	77,627.6	80,530.8	66,890.7	**225,049.1**

წყარო: geostat.ge

გასათვალისწინებელი ფაქტორია რუსეთიდან განხორციელებული ფულადი გზავნილები, რომელიც ეროვნული ვალუტის გამყარებაზე მოქმედებენ. ეროვნული ბანკის მონაცემებით საქართველოში 2018 წელს ფულადი გზავნილის სახით 1 576 508 500 აშშ დოლარი შემოვიდა, რაც ეროვნულ ვალუტაში 4 მილიარდ ლარს აღემატება. 2018 წლის ეს მონაცემი წინა წლის იგივე მონაცემებთან შედარებით 14%-ით მეტია და საქართველოს ისტორიაში ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა.

ფულადი გზავნილების მიხედვით, პირველ ადგილზე რუსეთის ფედერაციაა, საიდანაც 2018 წელს 457 მილიონი აშშ დოლარი შემოვიდა. აღნიშნული თანხის უმთავრესი წყარო საქართველოდან უცხოეთში ემიგირებული საქართველოს მოქალაქეების გზავნილებია, თუმცა რიცხვები რიცხვებად რჩება, რაც ეკონომიკური ურთიერთობის მნიშვნელოვნებაზე მიუთითებს.

რუსეთთან დღევანდელი გართულებული ურთიერთობიდან თუ გამოვალთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ რუსეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია, მის მიერ საქართველოსთვის სანქციების დაწესებას უარყოფითი გავლენა ექნება ეკონომიკაზე. თუმცა გამოსავალია ბაზრის დივერსიფიკაცია, ახალი საექსპორტო ბაზრების მოძიება და პროდუქციის დივერსიფიკაცია, შესაბამისად ექსპორტი ნაკლებ დამოკიდებული უნდა გახდეს ერთ კონკრეტულ ბაზარზე და ქვეყანაც მეტად დამოუკიდებელი.

2.3 აზერბაიჯანთან ეკონომიკური ურთიერთობები

საქართველოსა და აზერბაიჯანის ურთიერთობები გეოგრაფიული სიახლოვის გარდა სხვა მსგავსი პირობების გამოც გაღრმავდა, თუმცა ეს ურთიერთობები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ამ ორი მეზობელი ქვეყნისთვის, არამედ მთელი რეგიონისთვის. აზერბაიჯანისა და საქართველოს მიერ განხორციელებული პროექტები ენერგეტიკული მიმართულებით გლობალური მნიშვნელობისაა, თუნდაც შორეული აღმოსავლეთისა და ევროპის ყველაზე დასავლური წერტილის დამაკავშირებელი ქვეყნებისთვის. (27)

ამ ორ სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობები ჩამოყალიბდა 1992 წლიდან, რაც მრავალმხრივობით ხასიათდება, ახასიათებს სტრატეგიულობა და დადებითი დინამიკა. მოცემულ დინამიკაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეკონომიკური ურთიერთობები.

~

საქართველო-აზერბაიჯანის ექსპორტ-იმპორტის პროცენტული წილი 1995-2018 წლებში ქვეყნის მიერ განხორციელებულ მთლიან საგარეო ვაჭრობაში. წყარო geostat.ge

	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002
ექსპორტი	8.6%	12.2%	10.3%	9.7%	7.1%	6.2%	3.1%	8.4
იმპორტი	9.9%	10.5%	11.6%	8.3%	10.5%	7.9%	9.7%	10.1%
	2003	**2004**	**2005**	**2006**	**2007**	**2008**	**2009**	**2010**
ექსპორტი	3.6%	3.9%	9.6%	9.5%	11.2%	13.6%	14.6%	15.3%
იმპორტი	8.2%	8.5%	9.4%	8.7%	7.3%	9.6%	9.2%	9.3%
	2011	**2012**	**2013**	**2014**	**2015**	**2016**	**2017**	**2018**
ექსპორტი	19.5%	26.4%	24.4%	19.0%	10.9	7.2	9.9	15.0
იმპორტი	9.0%	8.7%	8.2%	7.4%	7.4	6.8	7.1	6.4

საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის მოქმედებს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი, რომელიც სამართლებრივად დარეგულირებულია, როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ფორმატში (სუამ-ის ფარგლებში). საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის სამართლებრივი ჩარჩოები ორმხრივი თანამშრომლობის შესახებ 100- ზე მეტ შეთანხმებას მოიცავს. წლების განმავლობაში, აზერბაიჯანი წარმოადგენს საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო-ეკონომიკურ პარტნიორს.

საქართველო აზერბაიჯანის სავაჭრო ბრუნვა 2019 წლის მონაცემებით

	იანვარი-ივნისი	იანვარი	თებერვალი	მარტი	I კვ.
სულ ექსპოტი	**1,775,418.6**	**238,766.2**	**265,276.4**	**320,940.2**	**824,982.7**
სულ იმპორტი	**4,192,859.8**	**596,238.0**	**648,146.3**	**755,703.9**	**2,000,088.2**
	ექპორტი	34,458.3	23,953.6	26,434.8	**84,846.7**
	იმპორტი	64,589.7	61,266.2	61,515.7	**187,371.7**
		აპრილი	მაისი	ივნისი	II კვ.
სულ ექსპოტი		**307,401.7**	**335,784.8**	**307,249.4**	**950,435.9**
სულ იმპორტი		**744,030.0**	**760,754.1**	**687,987.5**	**2,192,771.6**
	ექსპორტი	41,433.0	42,436.7	42,610.4	**126,480.1**
	იმპორტი	48,404.1	31,000.2	30,796.3	**110,200.6**

ენერგეტიკა წარმოადგენს თანამშრომლობის ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებას, რაც გამოხატულია ერთობლივად რეალიზებულ მნიშვნელოვან პროექტებში, როგორიცაა „ბაქო-სუფსისა“ და „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ ნავთობსადენები და „ბაქო-თბილისი-ერზერუმის“ გაზსადენი, ასევე გარდაბანი-სამუხის მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი.(14)

წარმატებულად მიმდინარეობს თანამშრომლობა ტურიზმის სფეროში, ყოველწლიურად აზერბაიჯანიდან ვიზიტორების რაოდენობა იმატებს.

2.4 დანარჩენ ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობები

ევროკავშირის, თურქეთის, აზერბაიჯანის, რუსეთის და სპარსეთის ყურის ქვეყნების ეკონომიკური ვითარება მნიშვნელოვნად აისახება საქართველოს ეკონომიკაზე ექსპორტის, ინვესტიციების, ტურიზმისა და უცხოეთიდან გადმორიცხვების მეშვეობით. ყველა ძირითადი პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკები პრაქტიკულად 2017 წელს იწყებენ ეკონომიკური კრიზისისა და პოსტკრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლას.

ექსპორტის ზრდა ტრადიციული საექსპორტო კატეგორიების - სოფლის მეურნეობისა და მეტალების გაზრდილი გაყიდვების შედეგია, რაც უკავშირდება დადებით

ეკონომიკურ დინამიკას ყველა ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყანაში: ევროკავშირში, თურქეთში აზერბაიჯანსა და რუსეთში.

რეალური მშპ-ს ზრდა საქართველოში და სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების საშუალო შეწონილი ზრდა. წყარო საქართველოს ეროვნული ბანკი



საგარეო ვაჭრობის გაზრდა მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო ბოლო წლებში მიღწეული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებითა და ახალ საექსპორტო ბაზრებზე გასვლით. გასათვალისწინებელია, რომ რეგიონალურ ეკონომიკურ სირთულეებში მნიშვნელოვანი როლი ნავთობის ფასების გამოქცევამ ითამაშ, რაც აისახა საქართველოს ორი მთავარი პარტნიორის აზერბაიჯანისა და რუსეთის ეკონომიკაზე. (15)

ქვეყნების მიხედვით თუ განვიხილავთ, 2018 წელს, განსაკუთრებით მძიმე ვითარება იყო თურქეთში, რის გამოც ამ ქვეყნიდან საქართველოში მომდინარე სავაჭრო და სხვა ფინანსური შემოსავლები მნიშვნელოვნად შემცირდა. აგვისტოს სავალუტო კრიზისის შემდეგ, თურქეთის წლიური ეკონომიკური ზრდა მნიშვნელოვნად დაეცა და მსოფლიო ბანკის მონაცემებით8 3.5 პროცენტი შეადგინა, ხოლო 2019 წლის პროგნოზით, იგი კიდევ უფრო, 1.6 პროცენტამდე შემცირდება. აღნიშნულს თან დაერთო უარყოფითი სამომხმარებლო და ბიზნეს განწყობა, ასევე აშშ-ს მიერ ტარიფების ზრდა თურქულ ფოლადზე, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს რეალურ ზრდას. თურქეთის წლიურმა ინფლაციამ გასული წლის დეკემბერში 20.3 პროცენტი შეადგინა.(15)

2018 წელი დადებითად შეიძლება შეფასდეს უკრაინისთვის, სადაც აქტიურად მიმდინარეობდა ეკონომიკური აქტივობის გაჯანსაღების პროცესი. შრომის ბაზრის გაუმჯობესებამ და გაზრდილმა სამომხმარებლო დანახარჯებმა ხელი შეუწყო შიდა მოთხოვნის ზრდას. ასევე გაზრდილია ფულადი გზავნილებიც. მსოფლიო ბანკის პროგნოზით, რეალური ეკონომიკური ზრდა 2018 წელს 3.5 პროცენტით განისაზღვრა. თუმცა გამოწვევად რჩება რთული საგარეო ვითარება, რაც ნეგატიურად აისახება ექსპორტის მოცულობასა და მთლიანად ეკონომიკაზე. მიუხედავად მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებისა, ინფლაცია წლის ბოლოს 9.8 პროცენტით განისაზღვრა, რაც მიზნობრივთან შედარებით (5 პროცენტი) საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. წლის მეორე ნახევარში, მცირედი შენელების მიუხედავად, სომხეთის ეკონომიკური ზრდა მაინც სოლიდურად გამოიყურება და მსოფლიო ბანკის შეფასებით10 5.3%-ით განისაზღვრა.

სავაჭრო პარტნიორების ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვანია, თუმცა დივერსიფიკაციის პრინციპის გამო მნიშვნელობა ენიჭება საგარეო ბაზრებისა და მოვაჭრე ქვეყნების რაოდენობას. იმ შემთხვევაში, თუ საექსპორტო ბაზრები იქნება დივერსიფიცირებული, ნაკლები საფრთხე იქნება და ერთ კონკრეტულ ეკონომიკაზე დამოკიდებულება შემცირდება.

სწორედ ამ მნიშვნელობის გამო ცდილობს საქართველო დადოს ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებები სხვადასხვა ბაზრებთან, შევიდეს მათთან სავაჭრო გარიგებებში და განახორციელოს საგარეო ვაჭრობა. (16)

ძირითად სავაჭრო ქვეყნებს თუ განვიხილავთ, საქართველოსთვის ექსპორტის მიმართულებით ძირითად პარტნიორებს რუსეთისა და აზერბაიჯანის შემდეგ, 2019 წლის ბოლო მონაცემებით მოწინავე ადგილს იკავებენ ბულგარეთი (8,1%), სომხეთი (8,0%) და უკრაინა (7,4%). იმპორტის შესაბამისი მახასიათებლებია თურქეთი (17,1%), ჩინეთი (10%), რუსეთი (10%), აზერბაიჯანი (7,6%), გერმანია (5,0%).

2018 წლის მონაცემებით, მნიშვნელოვან მსხვილ საექსპორტო პარტნიორებად გვევლინებიან ბულგარეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი, სომხეთი, რუსეთი, ჩინეთი. მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირის ქვეყნებს შორის პორტუგალიასთან საერთოდ არ

გვაქვს ექსპორტი, ანუ ვერ მოვძებნეთ შესაბამისი კატეგორია საქონლისა, რაც საქართველოში იწარმოება, რომ გაგვეტანა ეს პროდუქტი პორტუგალიაში, ან ვერ ვიპოვეთ შესაბამისი გზა. ეს შესაძლებელია აიხსნებოდეს საქართველოში პორტების სიმცირით.

საინტერესო ფაქტია, საქართველოდან ძირითადი ექსპორტიორი ქვეყნების რიგი იცვლება, მაგალითად აშშ-სთან ექსპორტი 2015 წლიდან 2018 წლამდე საგრძნობლად მცირდება, 2012 წელს იყო ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, 2014 წელსაც დაახლოებით მთლიანი ექსპორტის 7% დაფიქსირდა აშშ-ში, 2018 წელს კი ეს მონაცემი დაახლოებით მთლიანი ექსპორტის 4,7%-მდე შემცირდა.

კანადასთან საგარეო ვაჭრობას რაც შეეხება, 2010 წლის მონაცემებით იგი საქართველოსთვის მნიშვნელოვანი საექსპორტო პარტნიორი იყო, ამ დროისთვის კანადაში მთლიანი ექსპორტის ასევე 7% გადიოდა, მომავალ წლებში კი ყოველწლიურად საგრძნობლად იკლებდა ექსპორტი კანადაში, 2018 წელს ფიქსირდება ყველაზე ცუდი მაჩვენებელი დაახლოებით 0,3% შეადგინა. მნიშვნელოვანი საექსპორტო რაოდენობა იყო დაფიქსირებული ბელგიაში 2012-2013 წლებში, თუმცა მომდევნო წლებში აქაც შემცირდა ექსპორტის რაოდენობა. საქართველოსთვის კარგი და მზარდი სავაჭრო პარტნიორია ირანი, მონაცემებს თუ დავაკვორდებით, საქართველოდან ირანში ექსპორტი ყოველწლიურად იზრდება, 2018 წლის მონაცემებით 2,2% შეადგინა, თუმცა ამ შემთხვევაში რიცხვებს თავი დავანებოთ და გავითვალისწინოთ მზარდი ტენდენცია, რაც დადებითია.

წყარო geostat.ge

ქვეყნები	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018*
ექსპორტი - სულ	**2,376,635.4**	**2,910,314.5**	**2,861,045.2**	**2,204,685.3**	**2,112,912.8**	**2,735,486.5**	**3,354,490.1**
ბულგარეთი	**69,654.7**	**150,753.8**	**167,104.8**	**214,247.1**	**160,758.6**	**186,852.2**	**258,870.4**
აზერბაიჯანი	**626,914.0**	**709,919.2**	**544,448.0**	**240,953.4**	**152,374.8**	**272,149.9**	**502,283.5**
რუსეთი	**46,806.0**	**190,653.4**	**274,754.0**	**162,885.6**	**206,044.0**	**396,672.0**	**437,303.5**
სომხეთი	**258,404.3**	**315,549.4**	**288,093.3**	**180,154.2**	**150,815.4**	**210,276.6**	**277,800.6**
ტაჯიკეთი	**4,838.1**	**7,933.2**	**10,769.5**	**4,430.6**	**5,870.4**	**3,380.5**	**6,575.7**

უზბეკეთი	16,200.8	22,708.4	54,826.2	97,956.2	71,303.2	64,154.5	80,487.7
უკრაინა	167,020.3	192,808.7	140,003.7	59,873.6	73,324.6	124,536.2	175,043.1
ყაზახეთი	62,235.6	103,598.0	88,589.5	44,963.0	39,822.6	51,775.2	90,802.7
თურქეთი	140,141.6	184,027.9	239,301.6	186,769.6	173,449.0	216,673.6	232,714.3
შვეიცარია	12,856.6	3,267.9	13,593.2	30,848.2	81,768.3	71,560.4	77,453.2
ჩინეთი	25,674.7	33,956.0	90,393.3	125,803.2	174,329.7	201,701.7	198,034.3

რაც შეეხება იმპორტს, 2018 წლის მონაცემებით ძირითადი სავაჭრო პარტნიორები იმპორტში არიან გერმანია, აზერბაიჯანი, რუსეთი, უკრაინა, თურქეთი, ჩინეთი. რაც მთავარია, ეს ქვეყნები მოწინავე პოზიციებს იკავებენ ვაჭრობაში 2010 წლიდან და არ თმობენ ამადგილს.

ქვეყნები	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018*
იმპორტი – სულ	**8,056,379.0**	**8,022,546.4**	**8,601,814.4**	**7,300,293.1**	**7,293,805.6**	**7,942,684.0**	**9,122,084.3**
გერმანია	540,625.1	449,380.7	466,102.2	431,020.4	420,362.7	433,532.9	430,930.8
აზერბაიჯანი	703,803.7	655,871.9	638,066.4	538,789.4	492,474.2	567,034.3	586,186.4
რუსეთი	476,828.5	583,939.6	575,570.3	625,065.6	675,627.7	786,866.8	935,694.9
უკრაინა	587,879.2	601,495.7	548,608.6	455,571.5	417,868.1	446,035.6	514,752.3
თურქეთი	1,470,240.6	1,410,197.5	1,728,815.7	1,327,477.8	1,353,584.8	1,373,738.9	1,472,957.8
ჩინეთი	614,416.7	612,239.6	733,467.5	587,298.9	547,509.6	732,946.3	833,895.5

საქართველოს ყველაზე მსხვილი პარტნიორი იმპორტიორი ქვეყნები. (geostat.ge)

2.5 საერთაშორისო სავაჭრო თანამშრომლობის ხელშესაწყობად განხორციელებული ეკონომიკური პოლიტიკა

საერთაშორისო ეკონომიკურ პოლიტიკაში ჩართვისას აუცილებელია ავირჩიოთ კონკრეტული მიმართულებები, რომლის განვითარებასაც შედარებით მეტად ეცდება ქვეყანა. ამ მხრივ საქართველო საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ფორმებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საგარეო ვაჭრობას, ასევე პერსპექტიულია სამეცნიერო-ტექნიკურ თანამშრომლობას და ტურიზმი.

საერთაშორისო ვაჭრობა ქვეყნის ეკონომიკურ ურთიერთობებში ცენტრალურ ადგილს იკავებს. საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში ხდება თითოეული ქვეყნის ინტერესების რეალიზაცია. შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ეტაპზე საერთაშორისო ვაჭრობა წარმოადგენს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ყველაზე გაერთიანებულ ფორმას.

პროტექციონისტური და ლიბერალური საგარეო ეკონომიკური პოლიტიკისგან საქართველო ირჩევს ლიბერალურს და ცდილობს გაატაროს შესაბამისი პოლიტიკური ღონისძიებები ჩაერთოს სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაში და ამ მხრივ დაამყაროს ორმხრივი თუ მრავალმხრივი შეთანხმებები.

ქვეყნის მიერ განხორციელებული საგარეო ეკონომიკური პოლიტიკით შესაძლებელი გახდა დადებულიყო ხელშეკრულებები სხვადასხვა ქვეყნებთან და მომხდარიყო გაწევრიანება მნიშვნელოვან მსოფლიო ორგანიზაციებში. განხორციელებული ქმედებები ქართულ პროდუქციას შესაძლებლობას აძლევს ბარიერების გარეშე ჩაერთოს უცხო ბაზრების მიმოქცევაში. ამ შეთანხმებებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგნი:

1. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციასთან გაწევრიანება;
2. ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცეზე შეთანხმება.

2.6 ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (ვმო)

საგარეო ეკონომიკური პოლიტიკას კეთილდღეობის ზრდასთან ერთად შეუძლია წვლილი შეიტანოს გარე ეკონომიკური მიზნების მიღწევაში, როგორიცაა: თავისუფლება, უსაფრთხოება, სამართლიანობა. დასახული ეკონომიკური კურსის განსახორციელებლად საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებს მნიშვნელოვანი ეკონომიკური და არაეკონომიკური საშუალებები გააჩნიათ. აქ მოიაზრება ვმო-ს ხელშეკრულებითა და DCFTA შეთანხმებით განსაზღვრული მოქმედების ჩარჩო პირობები, რომელშიც ეკონომიკური სუბიექტები თავიანთ საგარეო ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებენ.

1996 წელს გატარებული რეფორმა საერთაშორისო გავლენის ან გადაწყვეტილებათა გამტარებლებთან ურთიერთობის ახალ წესრიგს ითვალისწინებდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ამ შემთხვევაში იყო კომპეტენციის ამაღლება და სხვა ორგანიზაციებთან მიმართებით ახალი ფუნქციების გამიჯვნა. (17)

ვმო-ში გაწევრიანების შემდეგ საქართველოში ჩამოყალიბებული საგარეო სავაჭრო პოლიტიკა მოიცავს, როგორც საბაჟო პოლიტიკას და ადმინისტრირებას, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის უფლებას, სავაჭრო ურთიერთობების გაჯანსაღების ღონისძიებებს (უსაფრთხოება, ანტიდემპინგური და საკომპენსაციო გადასახადებთან დაკავშირებული პროცედურები), ასევე იმ პოლიტიკიისა და პრაქტიკის შემუშავებასა და განხორციელებას, რომელიც გავლენას ახდენს საქონლით და მომსახურეობით ვაჭრობის სფეროებზე. საქართველოს ვმო-ში გაწევრიანება ეფუძნებოდა მნიშვნელოვან რეფორმებს, თუმცა ჰარმონიული და გონივრული სავაჭრო პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად საჭიროა სამუშაოთა დასრულება, რადგან ვმო-ში საქართველოს მიღება არ არის საბოლოო პუნქტი, ეს არის უბრალოდ ერთი საფეხური ეფექტიანი სავაჭრო პოლიტიკის ჩამოყალიბების გზაზე.

განვითარების ერთ-ერთი საფეხურია ახლი საბაჟო კოდექსის შექმნა, თუმცა ამასთან ერთად საჭირო ხდება მეტი ყურადღება დაეთმოს ეკონომიკის სფეროში საქმიანობებს, კერძოდ კი ინვესტიციების მოზიდვას და ექსპორტის ხელშეწყობის საკითხს. ლიბერალურ სავაჭრო პოლიტიკას ბევრი დადებითი თვისება გააჩნია, მაგრამ აუცილებელია ამ დროს მწარმოებლებმა დადებითი შედეგი ნახონ. რეფორმების პროცესში და საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაცია მოითხოვს მეტ ყურადღებას კერძო სექტორის მიმართ, რაც რთული გასაკეთებელია.

ვმო-სთან გაერთიანების პროცესში მნიშვნელოვანი იყო იმ ვალდებულებების შესრულება რასაც ხელშეკრულება ითვალისწინებდა, მოხდა კონკრეტული ვალდებულებების აღება სხვადასხვა მიმართულებით. დაწესდა სხვადასხვა ტარიფი, რომელიც ითვალისწინებდა სხვა პროდუქტებთან ერთად ძირითადად სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ტარიფებს (ალკოჰოლი, წვენები, გადამამუშავებელი

მრეწველობის წარმოება, თამბაქო და ა.შ.), აგრეთვე ზოგიერთ სამრეწველო პროდუქტზე (სამშენებლო მასალები, მსუბუქი მრეწველობის წარმოება და ა.შ.).

გარდამავალი პერიოდის განმავლობაში გარკვეული საქონლის მიმოცვლა შემცირდა, ზოგიერთ საქონელზე მოხდა ტარიფების ჰარმონიზაცია (თევზი, ნავთობი, ქიმიური პროდუქტები და სხვა.) აღნიშნული ინიციატივა მოიცავდა პროდუქციის ფართო სპექტრის იმპორტის ღირებულების შემცირებას რაც შედიოდა ქართველი მეწარმეებისა და გადამხდელების ინტერესებში. ეს სპექტრი ასევე მოიცავს საინფორმაციო ტექნოლოგიებს, ფარმაცევტულ წარმოებას, დანადგარებს და ა.შ. აღნიშნული საქონლის საბაჟო გადასახადების შემცირება მიმართული იყო კომპონენტებისა და აღჭურვილობის ხელმისაწვდომობაზე რათა გაზრდილიყო ადგილობრივი წარმოება და ამით ხელი შეეწყობოდა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

საქართველომ აღნიშნულთან ერთად გამონაკლისების სახით გამოყო კონკრეტული ადგილობრივი სექტორები (მზესუმზირის ზეთის მწარმოებლები, ფარმაცევტული სექტორი და სხვა) მათი დაცვის მიზნით. 2002 წელს საქართველომ მიიღო კანონი „საბაჟო ტარიფების შესახებ“, ამით დაკისრებული ვალდებულებები შესრულებული იქნა და საქაღთველოს სატარიფო სისტემა ლიბერალური დარჩა სხვა ქვეყნებთან მიმართებით, ვმო-ს მონაცემებით საქართველოს ტარიფები სხვა ქვეყნის ტარიფებთან შედარებით დაბალია.

მომსახურებით ვაჭრობის სპეციფიკური შეზღუდვების ჩამონათვალი ითვალისწინებს ადგილობრივ და უცხოელი მიმწოდებლების შეზღუდვებს და მოიცავს შემდეგს:

- ჰორიზონტალური შეზღუდვა - მომსახურების ყველა სექტორისთვის;
- ვერტიკალური შეზღუდვა - გამონაკლისი სექტორებისთვის.

მომსახურეობის სექტორში საქართველოში ვაჭრობის რეგულირება ლიბერალურია ანუ უცხოელ პროვაიდერებს ადგილობრივთნ შედარებით უმნიშვნელო შეზღუდვები აქვთ (საბანკო დაფინანსება, დაზღვევა, მშენებლობა და ა.შ.).

ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკა საგარეო ვაჭრობის განვითარებისთვის საბოლოო მიზანს არ წარმოადგენს, იგი დაქვემდებარებული მიზანია, საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის წინაშე მუდმივად დგას პრობლემა, რომელიც ჯერ კიდევ დაუძლეველია.

ნებისმიერი შემდგარი სახელმწიფო თავისი ქეყნის ეკონომიკის გასაძლიერებლად (ნაციონალური ეკონომიკური ინტერესების რეალიზაცია) მუდმივ დიალოგს მიმართავს და აღიარებს ახალი პარტნიორული ურთიერთობების არსებობას სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის. საქართველოში ამ პრობლემის დაძლევა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა.

პრობლემური ხასიათი გამოიხატება შემდეგში:

- კერძო ეკონომიკური ინტერესთა ჯგუფები ბუნდოვნად ან არასრულყოფილად აღიქვამენ საერთო ნაციონალურ ინტერესებს;
- ხშირად პოლიტიკოსებიც საკუთარი თავის გამოჩენის მიზნით ისეთ პროექტებს ლობირებენ, რომლებიც ეკონომიკური ინტერესთა ჯგუფების მხარდაჭერის სანაცვლოდ საზღვარგარეთული საეჭვო კაპიტალს უხსნიან გზას.

მსგავსი ქმედებებით იზღუდება ნაციონალური ეკონომიკური ინტერესები, ადგილობრივ კაპიტალს მთავრობის მიმართ ნდობა ეკარგება, რის შედეგადაც იგი ილექება მოგების მიღების მიზნით გამოუყენებელ ქონებაში ანდა საერთოდ ტოვებს ქეყანას. საპირისპიროდ პირდაპირი უცხოური ინვესტიციებს მოზიდვა პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს და მათთვის სასურველი ეკონომიკური გარემო იქმნება. (18)

საქართველო დღეს სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში მყოფი მცირე ღია ეკონომიკის მქონე ქვეყანაა და მისი ეკონომიკური პოლიტიკა ხანგრძლივი დროის განმავლობაში მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რაც არ ნიშნავს ინტერესთა ჯგუფებისთვის პრიორიტეტების მინიჭებას და ამით ფუნქციონირებისუნარიანი კონკურენციის შეზღუდვას.

საქართველოს საგარეო სავაჭრო პოლიტიკა ეფუძნება ვმო-ს ეგიდით გაფორმებულ მნიშვნელოვან შეთანხმებას, რომელიც მოიცავს ბევრ სხვადასხვა სფეროს. მათ შორის:

- სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებით ურუგვაის რაუნდის შედეგები მოიცავს საქართველოს ისეთ ვალდებულებებს, როგორიცაა არასატარიფო ბარიერების შეცვლა ტარიფებით, ბმული ტარიფეის დაწესება, ექსპორტის სუბსიდირების შემცირება და აღმოფხვრა. ყველა აღნიშნული ვალდებულება საქართველომ უკვე შეასრულა;
- სანიტარული და ფიტოსანიტრული ღონისძიებების შეთანხმება მოიცავს სანიტარულ და ფიტოსანიტარულ ღონისძიებებს, კერძოდ საკვები პროდუქტების უსაფრთხოების, ცხოველებისა და მცენარეების შემოწმების წესებს. შეთანხმების ძირითდი მოთხოვნებია შეზღუდვების შესაბამისობა რისკის დონესთან და მათი შემოღების შესახებ წინასწარი შეტყობინება;
- საფეიქრო და ტანაცმლის წარმოების პროცესში საქართველო მოხსნიდა რაოდენობრივ შეზღუდვებს, რაც წინა პერიოდში მოქმედებდა;
- ვაჭრობაზე მოქმედი ტექნიკური ბარიერების შეთანხმების თანახმად, პროდუქციის სავალდებულო სტანდარტები არ უნდა უქმნიდნენ დაბრკოლებას საერთაშორისო ვაჭრობას;
- ვაჭრობასთან დაკავშირეული საინვესტიციო ზომების შეთანხმება, რომელიც არეგულირებს ინვესტორთათვის წაყენებულ პირობებს. ქვეყანას უკრძალავს ისეთი ზომების გატარებას, როგორიცაა ვალუტის გაცვლაზე შეზღუდვები, წარმოებისთვის ადგილობრივი ნედლეულის სავალდებულო შესყიდვების დაწესება და ა.შ;
- ანტიდემპინგის შესახებ შეთანხმება, სადაც განსახღვრულია დემპინგი და ზარალი. შეთანხმება მოიცავს დემპინგის მოცულობის გამოთვლის პროცედურებს, ანტიდემპინგური ზომების განხორციელების წესებსა და ხანგრძლივობას, დავების გადაწყვეტის მექანიზმებს;
- საბაჟო შეფასების შესახებ შეთანხმება მოითხოვს საბაჟო ღირებულების განსაზღვრას საერთაშორისოდ აღიარებული მეთოდების გამოყენებით;

- გადაზიდვამდე ინსპექტირების შესახებ შეთანხმება არეგულირებს საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ დეტალებს. განსაკუთრებით საქონლის ფასის, ხარისხისა და რაოდენობის კონტროლის ორგანიზებას გამომგზავნი ქვეყნის ტერიტორიაზე;
- საქონლის წარმოშობის წესების შეთნხმების მიზანია საქონლის წარმოშობასთან დაკავშირებული წესების ჰარმონიზაცია და უზრუნველყოფა, რომ ამგვარმა წესებმა დაბრკოლება არ შეუქმნას ვაჭრობას;
- იმპორტის ლიცენზირების შესახებ შეთანხმებია ქვეყნებისგან მოითხოვს იმპორტის ლიცენზირების შესახებ საკმარისი ინფორმაციის გამოქვეყნებას, პროცედურის სიმარტივესა და დაუსაბუთებელი უარის გასაჩივრების შესაძლებლობას, რათ ხელი არ შეეშალოს ვაჭრობას;
- სუბსიდიებისა და საკომპენსაციო ზომების შეთანხმება გამოიყენება სამრეწველო საქონლის მიმართ და სუბსიდიებს ყოფს დასაშვებ და აკრძალულ სუბსიდიებად. ეს შეთანხმება ქვეყნებს ანიჭებს უფლებას დააწესონ საკომპენსაციო გადასახადი სუბსიდირებულ იმპორტზე;
- დაცვითი ზომების გამოყენება ადგილობრივი წარმოების დაცვისთვის საქონლის იმპორტის გაუთვალისწინებელი მკვეთრი ზრდის შემთხვევაში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ადგილობრივი წარმოებისთვის მნიშვნელოვანი ზარალის მიყენება;
- მომსახურებით ვაჭრობის (GATS) შესახებ გენერალური შეთნხმება მოიცავს მომსახურებით ვაჭრობის ძირითად წესებს;
- ვაჭრობასთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებები (TRIPS) შესახებ შეთანხმებაში მოცემულია ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მინიმალური სტანდარტები და მათი განხორციელების პროცედურა. შეთანხმება მოიცავს ინტელექტუალური დაცვის ისეთ უფლებებს, როგორიც არის პატენტები, საავტორო უფლებები, სავაჭრო ნიშები, გეოგრაფიული დასახელების გამოყენება და ა.შ;

- დავების გადაწყვეტის შეთანხმება უზრუნველყოფს დავების მოგვარების ერთიან სისტემას;
- სავაჭრო პოლიტიკის განხილვის მექანიზმის შეთანხმება ითვალისწინებს ეროვნული სავაჭრო პოლიტიკის გამჭვირვალობის და ვმო-ს მოთხოვნათა შესრულების კონტროლის მიზნითწევრი ქვეყნების სავაჭრო პოლიტიკის საშუალოვადიანი განხილვის მექანიზმს;
- სამოქალაქო ავიაციის შესახებ შეთანხმება აუქმებს საიმპორტო გადასახადს სამოქალაქო სახის თვითმფრინავებზე, აგრეთვე მათ ნაწილებსა და სხვა შემადგენელ ელემენტებზე;
- შეთანხმება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მოიცავს სახელმწიფო ორგანოების მიერ განხორციელებულ შესყიდვებს. შეთანხმება მოითხოვს სახელმწიფო ორგანოების მიერ ტენდერების გამოცხადებას, რაც ყველა მომწოდებელს სამართლიან და თანაბარ პირობებს შეუქმნის.

მიუხედავად იმისა რომ საქართველო ვმო-ს წევრი 2000 წელს გახდა საბაჟო ტარიფებთან მიმართებით ვალდებულებების შესრულება მხოლოდ 2003 წელს დაიწყო, ეს ნაბიჯი მიანიშნებდა ვალდებულებების დამორჩილებასა და ქართული ტარიფების ჰარმონიზაციას სავალდებულო ტარიფებთან, რაც ჩადებული იყო ვმო-ს შეთანხმებაში. აღნიშნული ქმედებით მოხდა რამდენიმე სავაჭრო რეჟიმის განხორციელება:

- თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი (C.I.S ქვეყნებთან);
- პრეფერენციული რეჟიმი (მოიცავს მოცემულ ქვეყნებში საქართველოდან ექსპორტის შეღავათების შესაძლებლობას);
- საბაჟო ტარიფების შემოღების შემდეგ საქართველოში გაუქმდა 22 საბაჟო გადასახადი და მისი ადგილი დაიკავა სამმა, რომელიც დღესაც უცვლელად რჩება. (0, 5% და 12%).

საქართველოსა და სხვა მსგავსი ღარიბი ქვეყნებისგან ვმო-ს ქვეყნებში განხორციელებული პროდუქციის ექსპორტი მთლიან ექსპორტთან შედარებით უმნიშვნელოა, შესაბამისად იმპორტიორი ქვეყნები ითვალისწინებენ ამ მდგომარეობას და

საქართველოს აქვს შეღავათები ვმო-ს და ევროკავშრის ქვეყნებში ექსპორტის განხორციელების დროს. ასეთი ნაბიჯი განვითარების ტენდენციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის. საქართველოს აქვს ვმო-ს შეთანხმების შესაბამისად ნაკისრებული ვალდებულებების დაცვა, რაც პირნათლად სრულდება არამარტო საქართველოს მთავრობის მხრიდან, არამედ საერთაშორისო კომპანიებისგანაც, რომლებიც საქართველოში ფუნქციონირებენ.

ვმო-ს მოთხოვნებით ასევე გათვალისწინებულია გამონაკლისი პროდუქტების დაბეგვრა, როგორებიცაა ალკოჰოლური პროდუქტები, თამბაქოს ნაწარმი, ნავთობპროდუქტები და მსუბუქი მანქანები, საქართველოს შემთხვევაში აღნიშნულ პროდუქტებზე ასევე დაწესებულია აქციზის გადასახადი, რაც კონკრეტულ შემთხვევაში კონკრეტული პროცენტობით განისაზღვრება. დღგ და აქციზი შეთანხმების შესაბამისად იმპორტის მსგავსია და გამოიყენება დისკრიმინაციული მიდგომის გარეშე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ალკოჰოლურ სასმელებთან მიმართებით გამონაკლისი აქვს, ეს არის ღვინო, ყურძნისეული წარმოშობის ღვინოზე საქართველოში აქციზი არ არის დაწესებილი, ღვინო არის წახალისებული პროდუქტი, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, რათა ხელი შეეწყოს ეროვნული მეურნეობის წახალისებას, მისთვის გადასახადები არის შემსუბუქებული და ამის შესაბამისად სასურველია მოხდეს მისი საექსპორტო რაოდენობის გაზრდა.

2.7 ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმება (DCFTA)

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმების განხორციელება დაიწყო 2009 წელს. საქართველომ ევროკავშირის მხრიდან მიიღოსხვადასხვა რეკომენდაცია განსახორციელებელი რეფორმების შესახებ. რეკომენდაციების შესაბამისად გამოიყო ოთხი პრიორიტეტული სფერო:

- ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში
- სანიტარული და ფიტოსანიტარული ღონისძიებები (სურსათის უვნებლობა)
- ინტელექტუალური საკუთრების დაცვა
- კონკურენცია

რეკომენდაციის მიხედვით შემუშავებულ იქნა კონკრეტული სამოქმედო გეგმა. DCFTA მოლაპარაკების პროცესი განახლდა 2011 წელს ხოლო დასრულდა 2013 წელს. 2014 წელს ხელი მოეწერა შეთანხმებას, ხოლო შეთანხმების რატიფიცირება საქართველოს პარლამენტმა 2016 წელს მოახდინა.

DCFTA მნიშვნელოვან საკანონმდებლო ჰარმონიზაციას და სხვადასხვა სფეროებში არსებული პრაქტიკის ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას გულისხმობს. ევროკავშირი საქართველოსგან მოითხოვს, რომ მან ახალი კანონმდებლობა და მარეგულირებელი წესები მიიღოს, საქართველოში წარმოებული პროდუქციის ხარისხის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების მიზნით, რაც ამ პროდუქციის ევროკავშირის ბაზარზე შესვლას გააიოლებს. ამგვარი შეთანხმების დადება ნიშნავს, რომ პარტნიორი ქვეყანა გაიზიარებს და ევროკავშირის კანონმდებლობის დიდ ნაწილს.

შეთანხმების მეოთხე კარი განიხილავს კონკრეტულად ვაჭრობას და ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

შეთანხმება არეგულირებს საქონლით ორმხრივი ვაჭრობის პიტობებისა და საბაჟო გადასახადების ლიბერალიზაციას. შეთანხმების მიხედვით, არცერთ მხარეს არ აქვს უფლება დააწესოს ან შეინარჩუნოს ეკვივალენტური გადასახადი საქონლის ექსპორტზე, ხოლო იმპორტს აქვს განსაზღვრული კონკრეტული გადასახადები:

შეთანხმების ძალაშიშესვლის შემდეგ ევროკავშირში წარმოებულ საქონელზე გადასახადები გაუქმდება

შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ საქართველოში წარმოშობილი საქონლის ევროკავშირში იმპორტზე საბაჟო გადასახადი გაუქმდება (გარდა ნივრისა, რომელზეც გადასახადი უქმდება კვოტის ფარგლებში)

საქართველოდან ევროკავშირში იმპორტირებული პროდუქტის ნაწილისთვის განსაზღვრულია შემდეგი ღონისძიებები:

ევროკავშირში შესვლის ფასი - რაც ითვალისწინებს იმპორტის გადასახადს საქართველოდან შესულ პროდუქციაზე, იმ შემთხვევაში თუ საქართველოში წარმოშობილი პროდუქტის საინვოისო ფასი ნაკლებია ევროკავშირის მიერ დადგენილ ფიქსირებულ ფასზე, იმპორტიორი გადაიხდის სხვაპბას საინვოისო და ფიქსირებულ ფასს შორის, ხოლო თუ თანაბარი ან მაღალი იქნება, იმპორტიორი თავისუფლდება შესვლის ფასის გადასახადისგან. (19)

გაყალბების მექანიზმი - სოფლის მეურნეობის პროდუქცია (ნომეკლატურის 3%) ექვემდებარება გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმს. მექანიზმი გულისხმობს, როდესაც, კალენდარული წლის დასაწყისიდანგაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმს დაქვემდებარებული ერთი ან მეტი რაოდენობის პროდუქტის იმპორტი მიაღწევსფიქსირებული რაოდენობის 70%-ს, ევროკავშირი შეატყობინებს საქართველოს კონკრეტული პროდუქტის იმპორტის მოცულობის შესახებ. საქართველოს შეუძლიაწარუდგინოს ევროკავშირს არგუმენტები (მაგ. წარმოების მოცულობის გაზრდის, უხვმოსავლიანობის და ა.შ) დასაბუთება იმპორტის შესაძლო გადაჭარბების შესახებ. ასეთ შემთხვევაში საქართველოს შეუძლია განახორციელოს მექანიზმით გათვალისწინებულ რაოდენობაზე მეტი ოდენობის პროდუქციის იმპორტი ევროკავშირში საბაჟო გადასახადის გარეშე.

სატარიფო კვოტა - საბაჟო გადასახადების ლიბერალიზაცია ფიქსირებული რაოდენობის ფარგლებში დაწესებულია მხოლოდ ნიორზე 220 ტონის ოდენობით. აღნიშნული რაოდენობის ფარგლებში კალენდარული წლის განმავლობაში საქართველოში წარმოშობილი ნივრის იმპორტი ევროკავშირში განხორციელდება საბაჟო გადასახადის გადახდის გარეშე.

საქონლის წარმოშობის წესები

საქონლის წარმოშობა არის საქონლის ეკონომიკური ეროვნება საერთაშორისო ვაჭრობის დროს. წარმოშობის წესები ორი ტიპისაა:

- პრეფერენციული;
- არაპრეფერენციული.

არაპრეფერენციული წარმოშობის წესები გამოიყენება შემდეგი მიზნებისთვის:

- ❖ უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი;
- ❖ ანტიფდემპინგური და საკომპენსაციო ტარიფები;
- ❖ დაცვითი ღონისძიებები;
- ❖ რაოდენობრივი და სატარიფო კვოტები;
- ❖ წარმოშობის მარკირება და სავაჭრო სტატისტიკა.

არაპრეფერენციული წარმოშობის წესები რეგულირდება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციასთან 1994 წლის გენერალური შეთანხმებით ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ და საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ კიოტოს 1974 წლის კონვენციის დანართით.

პრეფერენციის წარმოშობის წესები ემსახურება საქონლის იმპორტისას პრეფერენციული ტარიფების დაწესების მიზანს - სავაჭრო რეჟიმების გამოყენებას. პრეფერენციული წარმოშობის წესები რეგულირდება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებბის ენ ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე.

ევროკავშირის ტერიტორიაზე საქონლის იმპორტისას საბაჟო (იმპორტის) გადასახადების დაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება საქონლის ღირებულება, საქონლის კოდი და საქონლის წარმოშობის ქვეყანა, ასევე ნებისმიერი სპეციალური შეზღუდვები და მოთხოვნები, რომლებიც შეიძლება გავრცელდეს ცალკეულ შემთხვევებზე. DCFTA ითვალისწინებს იმპორტზე საბაჟო გადასახადების გაუქმებაას გარკვეული დათქმებით. შესაბამისად, ევროკავშირსა და საქართველოს შორის გამოიყენება პრეფერენციული წარმოშობის წესები, შესაბამისად გათვალისწინებული შეღავათების სარგებლობის მიზნებისთვის აუცილებელია განისაზღვროს საქონლის ქართული წარმოშობა - „ეროვნება“.

ევროკავშირში ექსპორტის განხორციელებისას ქართული წარმოშობის სტატუსის მისანიჭებლად აუცილებელია ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული შემდეგი პირობების დაკმაყოფილება:

- საქონელი მთლიანად წარმოებული იყოს საქართველოში;
- საქონელი არ არის მთლიანად წარმოებული საქართველოში, მაგრამ მის მისაღებად გამოყენებულმა მასალამ განიცადა საკმარისი დამუშავება-გადამუშავება საქართველოს ტერიტორიაზე.

იმპორტიორ ქვეყანაში წარმოშობის სტატუსის დადასტურების მიზნით გამოიყენება:

- მოძრაობის სერთიფიკატი - რომესაც გასცემს შემოსავლების სამსახური;
- წარმოშობის დეკლარაცია, რომელიც დაერთვის ანგარიშფაქტურას, მიწოდების შეტყობინებას ან ნებისმიერ სხვა კომერციულ დოკუმენტს და აღწერს მოცემული პროდუქტის სათანადო დეტალებს.

III თავი

საგარეო ვაჭრობის ხელშესაწყობად განხორციელებული ეკონომიკური პოლიტიკა

საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა ძირითადად მოიცავს ურთიერთობებს სატარიფო, არასატარიფო, საფინანსო და არაეკონომიკური მეთოდებით. სატარიფო მეთოდებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საბაჟო ტარიფებსა და გადასახადებს, არასატარიფო მეთოდებში - ლიცენზიების სისტემასა და კვოტებს. საფინანსო მეთოდებს განეკუთვნება სუბსიდიები, საექსპორტო კრედიტები და დემპინგი, არაეკონომიკურ მეთოდებში კი შედის სავაჭრო ხელშეკრულებები და სამართლებრივი რეჟიმების სხვადასხვა სახე.

საქართველო პატარა ქვეყნების რიცხვს განეკუთვნება და გარდამავალი ეკონომიკის სტატუსს ატარებს, თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე განსაკუთრებული გეოპოლიტიკური უპირატესობები შეიძლება გააჩნდეს, ქვეყანას დიდი ხნის განმავლობაში არ ჰქონდა დამოუკიდებლობა და იმყოფებოდა სსრკ-ს დაქვემდებარების ქვეშ, რამაც მის განვითარებას ხელი შეუშალა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ დაიწყო მრავალმხრივი რეფორმები და მისმა საგარეო ეკონომიკურმა პოლიტიკამმიმართულება აიღო მსოფლიო სისტემისათვის ფეხის აწყობის მცდელობისკენ, რაც არც თუ ისე ცუდად მიმდინარეობს დღესაც.

საგარეო ვაჭრობის ხელშესაწყობად საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღო, რომელთაგანაც ზოგიერთის შედეგი შესაძლებელია მოკლევადიან პერიოდში ვიხილოთ, თუმცა შეთანხმებები და ადაწყვეტილებები მაინც გრძელვადიან პერიოდში გვაჩვენებენ საკუთარ საბოლოო შედეგს. თუმცა მნიშვნელოვანია დღევანდელი მდგომარეობით შევაფასოთ სიტუაცია და განვსაზღვროთ სწორი მიმართულებით გვაქსვ გეზი, თუ საჭიროა ცვლილებები, ორიენტირების განახლებბა ან გადაფასება.

აღნიშნულის გასააზღებლად მნიშვნელოვანია შევისწავლოთ საქართველოს საგარეო ვაჭრობის დღევანდელი მდგომარეობა. რა მოგვცა იმ ღონისძიებებმა რომლებიც გატარებული იყო ჩვენს მიერ წლების განმავლობაში.

ევროკავშირთან დადებული ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმება დადებითი გავლენის მომხდენი არის, არა მხოლოდ საგარეო ვაჭრობაზე, არამედ მთლიანად ეკონომიკურ განვითარებაზე. მნიშვნელოვანია, რომ საქართველო იღებს ვალდებულებებს და ასრულებთ მათ არა მხოლოდ კონკრეტული სავაჭრო მიმართულებით, არამედ ამას აქვს სისტემატიზებული ხასიათი.

ვაჭრობაში ტექნიკურ ბარიერებთან დაკავშირებით საქართველო განაგრძობს ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას შემდე სფეროებში:

- სტანდარტები და მეტროლოგია (ტენიენობის დადენის ლაბორატორიამ გაიარა საექსპორტო შეფასება რეფერენს ლაბორატორიად, საერთაშორისო აღიარების მისაღწევად);
- აკრედიტაცია (საქართველოს აკრედიტაციის ცენტრი ევროკავშირის სტანდარტების დანერგვისათვის ემზადება, მათ შორის ინფორმაციული უსაფრთხოების მართვისა და პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სფეროებში);
- ბაზრის ზედამხედველობა (ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო უზრუნველყობს ბაზრის ზედამხედველობის სერვისებს სამრეწველო და სამომხმარებლო პროდუქციის ასორტიმენტთან მიმართებაში);
- სანიტარული და ფიტოსანიტარული სტანდარტების მხრივ გრძელდება მუშაობა სააგენტოს განვითარებისათვის.

მნიშვნელოვანია განვიხილოთ კონკრეტული ღონისძიებების გატარების თანმიმდევრობა და სქემა.

3.1 DCFTA შეთანხმებით გათვალისწინებული სავაჭრო ღონისძიებების გატარების პოლიტიკა

საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებულ სფერიებში რეფორმებს ახალი იმპულსი მისცა ევროკავშირსა და საქართველოს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცეზე (DCFTA) შეთანხმების მიღწევამ. შეთანხმებაში განისაზღვრა, რომ შეიქმნას თითოეულ პარტნიორ ქვეყანასთან ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმება და მოხდეს მასთან დაკავშირებული ვალდებულებების აღება. ვალდებულებები უნდა შესრულებულიყო სხვადასხვა მიმართულებით, რაც განხორციელდა და გვაქვს შემმდეგი მდგომარეობა:

სურსათის უვნებლობის სტრატეგია

საქართველოს მთავრობამ ევროკომისიის რეკომენდაციების საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება განახორციელოს სურსათის უვნებლობის უზრუნველსაყოფად გაფართოვებული სტრატეგიისა და საკანონმდებლო-სამართლებრივი ბაზის შექმნის პროგრამის შემუშავება. სტრატეგია სახელწოდებით "ფერმიდან სუფრამდე" საწარმოდან საბოლოო მოხმარებამდე ორიენტირებული სურსათის უვნებლობის სისტემისათვის აუცილებელ ყველა შემადგენელს მოიცავს. აღნიშნული სტრატეგია ეფუძნება საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულებას სამართლებრივი ბაზის შექმნასთან დაკავშირებით. ამავე დროს შემოთავაზებული სტრატეგიის საფუძველზე უნდა განხორციელდეს ინსტიტუციური განვითარებისა და შრომითი რესურსების პოტენციალის ამაღლების პროგრამების შემუშავება.

სტრატეგია მოიცავს სურსათის უვნებლობის მთლიანი ინსტიტუციური მოწყობის პროგრამას, რომელშიც აღწერილია ისეთი ინსტიტუტების, როგორიცაა სურსათის ეროვნული სამსახურის, სსიპ - შემოსავლების სამსახურის, ლაბორატორიების, პოლიტიკის შემმუშავებელი ინსტიტუტებთან თანამშრომლობისა და კოორდინაციის მექანიზმები. (20)

სურსათის უვნებლობისსახელმწიფო კონტროლის განხორციელება (სტრატეგიის მიხედვით), 2010 წელს დაიწყო და მიმდინარეობდა ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე (2010 წლიდან) შემოწმებას დაექვემდებარნენ ევროკავშირში მიმავალი საექსპორტო პროდუქციის მწარმოებელი საწარმოები. მეორე ეტაპზე (2011 წლიდან), ინსპექტირებას დაექვემდებარა უკლებრივ ყველასაწარმო. სახელმწიფო კონტროლი, რომელიც დაიწყო და ორ ეტაპად განხორციელდა საქართველოს სურსათის უვნებლობის კანონმდებლობას ეფუძნება. ამავე დროს მიმდინარეობდა საქართველოს კანონმდებლობის მიახლოვება ევროკავშირში მოქმედ კანონებთან.

სურსათის უვნებლობის სისტემის ინსტიტუციური მოწყობის ჩარჩოში შედის: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური და სსიპ - შემოსავლების სამსახური. სახელმწიფო კონტროლის განსახორციელებლად და ასეთი თანამედროვე სისტემის დანერგვისათვის აუცილებელობას წარმოადგენდა შესაბამის ინსტიტუტებს შორის მიმდინარე საქმიანობის ეფექტიანი კოორდინაცია. ამ მიმართულებით სასურველი შედეგების მისაღებად აუცილებელი იყო მომხდარიყო ინსტიტუტებს შორის პასუხისმგებლობისა და ვალდებულებათა ზუსტი განსაზღვრა რაც საქართველოს პირობებში (იგულისხმება მორალური რისკის) საკმაოდ რთული ამოცანა იყო. მიუხედავად ამისა ძალზე სწრაფად განხორციელდა როგორც ინსტიტუტების საქმიანობის სფეროთა განსაზღვრა ასევე ჩამოყალიბდა მათი ვალდებულებებიც. (21)

დღეს სურსათის უვნებლობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკას განსაზღვრავს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, პარამეტრებსა და მახასიათებლებს განსაზღვრავს და პასუხისმგებელია სურსათის უვნებლობაზე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სპორტის სამინისტრო; სახელმწიფო კონტროლს სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფისთვის - საქართველოს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სამსახური ახორციელებს, ხოლო სახელმწიფო

სანიტარულ და ფიტოსანიტარულ კონტროლზე პასუხისმგებელია სსიპ-შემოსავლების სამსახური.

დარღვევების აღმოჩენისას შემოსავლების სამსახურმა უნდა გადაწყვიტოს ტვირთის განადგურების ან მისი უკან დაბრუნების საკითხები. სწორედ ეს ვითარება ხდება სერიოზული ინტერესთა კონფლიქტის მიზეზი საქართველოსა და პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკურ აგენტებს შორის. ასეთი კონფლიქტების შედეგად დაუმსახურებლად იზღუდება საქართველოს ეკონომიკური ინტერესები. ევროკავშირთან დადებული ასოცირების ხელშეკრულების საზღვრებში საქართველოს მხერე დიდ იმედებს ამყარებს ევროკავშირის მხრიდან მხარდაჭერის განხორციელებაზე.

სურსათის უვნებლობის პოლიტიკას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა, კერძოდ, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო. შემოსავლების სამსახურსა და ეროვნულ სამსახურს შორის ფუნქციები გადანაწილებულია ისე, რომ სახელმწიფო ვეტერინარული, სანიტარიული და ფიტოსანიტარიული კონტროლი ქვეყანის შიგნით ხორციელდება ეროვნული სამსახურის მიერ, ხოლო სახელმწიფო სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლი – უშუალოდ შემოსავლების სამსახურის პასუხისმგებლობაა;

ამჟამად საქართველოში უკვე არსებობს სახელმწიფო და კერძო ლაბორატორიები, რომლებიც ქვეყნის სურსათის უვნებლობის სისტემის განუყოფელი ნაწილია.

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია ორი სახის კონტროლი: გეგმური კონტროლი და საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში წინასწარი გაფრთხილების გარეშე განხორციელებული კონტროლი. ეროვნული სამსახური ვალდებულია განახორციელოს რისკის შეფასება, მართვა და კომუნიკაცია. ბიზნესოპერატორის რისკის კატეგორიაზეა დამოკიდებული ეროვნული სამსახურის მიერ ჩატარებულ ინსპექტირებათა რაოდენობა. აქედან გამომდინარე მაღალი რისკის მქონე საწარმოები ხშირად მოწმდება.

სურსათის უვნებლობის პოლიტიკის პერმანენტული განხორციელების შედეგად საკმაოდ ბევრ ადგილობრივ ნაწარმზე შეიცვალა წარწერები, რომლებიც ეკოლოგიურად

წმინდა პროდუქციის ნიშანს ან სახელს ატარებდნენ. ამ პროცესს მოსახლეობის მხრიდან კმაყოფილება, ხოლო მწარმოებელთა მხრიდან დიდი წინააღმდეგობა მოჰყვა. სასურველია სურსათის უვნებლობის პოლიტიკის განხორციელების პრაქტიკა შესაბამისი რეკლამითა და საზოგადოებისათვის გასაგები განმარტებებით უნდა მიმდინარეობდეს, მაშინ ნაციონალური ინტერესების ზეწოლა კერძო ინტერესთა ჯგუფებზე მოკლევადიან პერიოდში შეაგუებს მათ ახალ მოთხოვნებთან.

საკუთრების დაცვა

სურსათის უვნებლობის პოლიტიკის ფორსირების პარალელურად მიმდინარეობს საკუთრების უფლებათა დაცვის გაძლიერება. იგი საქართველოს მოქმედი ხელისუფლების ერთ-ერთი გაცხადებული პრიორიტეტია. საქართველო-ევროკავშირის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების (DCFTA) შესაბამისად, საკუთრების უფლების დაცვის კონტექსტში, მიმდინარეობს ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა დაცვის მექანიზმების სრულყოფა. (22)

ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარების სფეროში ზოგადად დიდი მნიშვნელობა აქვს სწორედ მთავრობის მხრიდან მხარდაჭერისა და სტიმულირების პოლიტიკის გატარებას. ეს განპირობებულია საქართველოში კერძო მეწარმეობისა განვითარების დაბალი დონით, ადგილობრივი კაპიტალური რესურსების სიმწირითა და ვენჩურული კაპიტალის არარსებობით. ასეთ ვითარებაში მხოლოდ მთავრობის მიერ გატარებული მეცნიერების განვითარების პოლიტიკა მოგვცემს სასურველ შედეგებს.

მეცნიერების განვითარების პოლიტიკის მიზანს უნდა წარმოადგენდეს არა მარტო საგრანტო პროექტების მიკუთვნებაზე კონკურსების ჩატარება, (რომლებიც საქართველოში ერთობ საეჭვოდ ხორციელდება) არამედ მეცნიერთა, გამომგონებელთა და მკვლევართა ორიენტირება მეცნიერებისა და განათლების სფეროში არსებული კონკრეტული პრობლემების გადაწყვეტაზე. სამწუხაროდ ჯერ-ჯერობით საქართველოში მოქმედი საზღვარგარეთული ორგანიზაციები და ფონდები მეცნიერების (ჟურნალისტიკის, არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარების პროექტები, ადამიანთა უფლებების დაცვა

და სხვა) მხარდაჭერის მიზნით აუარებელ რესურსებს კონტროლის არსებობის პირობებში უგზო-უკვლოდ ფლანგავს.

საკუთრების უფლების დაცვის გაძლიერება

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული საკუთრების უფლების დაცვის გაძლიერების მიზნით, მნიშვნელოვანია არა მარტო საქართველოში სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა და მოსამართლეთა შემდგომი პროფესიული განვითარება არამედ გაცილებით მნიშვნელოვანი პრობლემები არსებობს ქართული ხელოვნების ნიმუშების, ტექნოლოგიებისა და სხვა ტიპის საქმიანობის დაპატენტებისა და შემდგომში იგივე პატენტების დაცვის მექანიზმების შემუშავების სფეროში. ამ მხრივ ევროკავშირის გამოცდილების გაზიარება და დახმარება სტანდარტიზაციისა და საპატენტო საქმის განვითარებასთან დაკავშირებით განუსაზღვრელად მნიშვნელოვანია.

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული საკუთრების უფლების დაცვის გაძლიერების მიზნით, მნიშვნელოვანია სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა და მოსამართლეთა შემდგომი პროფესიული განვითარება. ამ მიზნით, საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვასთან დაკავშირებული საკანონმდებლო და ინსტიტუციური ბაზის გაუმჯობესებას და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას.

შეთანხმებაში მოცემულია ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან დაკავშირებული ის სავალდებულო სტანდარტები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შეთანხმების მუხლებით გათვალისწინებული ინტელექტუალური საკუთრების ყველა კატეგორია, როგორიცაა საავტორო და მომიჯნავე უფლებები, სასაქონლო ნიშნები, გეოგრაფიული აღნიშვნები, დიზაინი, პატენტები, სამედიცინო პროდუქტების და მცენარეთა დაცვის საშულებების ბაზარზე განთავსების ნებართვის მისაღებად წარდგენილი მონაცემების დაცვასთან დაკავშირებული ნორმები.

მდგრადი განვითარების ხელშემწყობი პოლიტიკა

მხარეები ადასტურებენ თავიანთ ვალდებულებას, ხელი შეუწყონ საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას იმგვარად, რომ დაეხმარონ მდგრადი განვითარების ძირითადი ამოცანების განხორციელებას ახლანდელი და მომავალი თაობების კეთილდღეობისათვის და ამავე დროს უზრუნველყონ რომ, აღნიშნული ამოცანები გათვალისწინებული და ასახული იქნება მათი სავაჭრო ურთიერთობის თითოეულ საფეხურზე.

საქართველოში მდგრადი განვითარების მიზნებისა და ამოცანების შესრულებაზე პასუხისმგებელია მდგრადი განვითარების დეპარტამენტი, რომელიც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში იმყოფება.

მდგრადი განვითარების პროგრამის ფარგლებში ქვეყანაში უნდა შემუშავდეს და დაინერგოს ტურიზმის ხელშეწყობის პოლიტიკა, რომელიც შექმნის სამუშაო ადგილებს და პოპულარიზაციას გაუწევს ადგილობრივ კულტურასა და პროდუქტებს. მნიშვნელოვანია ქვეყანაში სტაბილურად შენარჩუნდეს ეკონომიკური ზრდის ტემპები.

ევროკავშირის შეფასებით, მისი მდგრადი განვითარების შემაფერხებელ ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს სიღარიბე და სოციალური გარიყვა წარმოადგენს. ევროკავშირში მიიჩნევენ, რომ ამ პრობლემების დაძლევა ღარიბი ან გარიყული ადამიანებისთვის მხოლოდ ფულადი დახმარებით არ მიიღწევა. საჭიროა ხელმისაწვდომი დასაქმება, დაბინავება, ჯანდაცვა, საკომუნიკაციო და საინფორმაციო მომსახურებები, ასევე განათლების დონის ამაღლება და პროფესიული უნარების დახვეწა. (23)

მიუხედავად ამისა სოციალური დახმარებები მაინც მნიშვნელოვან როლს ასრულებს მდგრადი განვითარების პრობლემების დაძლევაში. საკანონმდებლო ბაზის ჰარმონიზაცია ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა და ამავედროს, გამოწვევაა ევროკავშირ-საქართველოს ურთიერთობებში, მათშორის, DCFTA-თან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში. მიუხედავად იმისა, რომ ინტენსიურად მიმდინარეობს სხვადასხვა სფეროში რეფორმების განხორციელება, საქართველოს კანონმდებლობა ჯერ კიდევ დავის საგანია ევროკავშირისათვის, განსაკუთრებით ისეთ საკითხებში, როგორებიცაა:

- ინტელექტუალური საკუთრება;

- კონკურენციის შესახებ კანონი;
- ვაჭრობის ტექნიკური ბარიერები;
- სანიტარული და ფიტოსანიტარული ნორმები;
- მწვავე საკითხს წარმოადგენს შრომის კანონმდებლობა;
- სურსათის უვნებლობა.
- მომხმარებელთა უფლებები.

2012 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო ორი კანონი, რომლებიც სურსათის უვნებლობასა და მომხმარებელთა უფლებებს არეგულირებენ. ევრაზიის ფონდის შეფასებით, მათი არაერთი რეკომენდაცია აისახა კოდექსების საბოლოო ვარიანტებში. თუმცა, წინადადებების უმეტესი ნაწილი, მათ შორის, პრინციპულ საკითხებზე, არ იქნა გათვალისწინებული.

ახალი კოდექსები ვერ ქმნის იმის წინაპირობას, რომ სურსათის უვნებლობისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით საქართველოში არსებული მდგომარეობა მოკლევადიან პერიოდში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს. ზოგიერთი ასპექტით უკუსვლაც კიშეინიშნება (მაგალითად ქართველი მეწარმეები უკვე მოერგნენ შრომითი კოდექსის ცვლილებას სამუშაო დროის აუნაზღაურებლად გახანგრძლივებასთან დაკავშირებით. მათ კანონმდებლობით განსაზღვრულ სამუშაო პერიოდზე ხელფასის განაკვეთები შეამცირეს და გახანგრძლივებულ სამუშაო დროში უკვე კანონიერად ადრე არსებულ სახელფასო განაკვეთს აძლევენ).

კერძო ეკონომიკური აგენტების მხრიდან განხორციელებული მსგავსი ქმედებები კოპენჰაგენის კრიტერიუმების მიღწევასთან დაგვაშორებს. აღსანიშნავია, რომ საქართველომ საკვების უსაფრთხოების ძველი (საბჭოთა კავშირის პერიოდის) მოდელი დიდი ხანია გააუქმა, თუმცა იმის ნაცვლად, რომ ახალი კანონები შეექმნა და აღესრულებინა (კანონმდებლობის შექმნის მცდელობა იყო, მაგრამ მისი აღსრულების მექანიზმებისა - არა), მან ეს სექტორი ხანგრძლივი დროით უკონტროლოდ დატოვა და ამ ვითარებამ კერძო ბიზნესი მომხმარებელთა ჯანმრთელობის ხარჯზე დაუსჯელად სარგებლის მიღების შესაძლებლობას შეაჩვია. დღეს როდესაც საქართველოს საზოგადოება

და ხელისუფლება უპირობოდ აიძულებს ეკონომიკურ ინტერესთა გარკვეულ ჯგუფებს ევროკავშირის სტანდარტების მიიღებასა და მათთან შეგუებას ისინი უკმაყოფილებას გამოთქვამენ და ცდილობენ იოლი გამოსავალის გამონახვას. ეს ვითარება აფერხებს ქართული პროდუქციის მოხვედრას ევროკავშირის ბაზარზე.

საგარეო სავაჭრო პოლიტიკა საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი შემადგენელია. მისი მიზანია საქართველოს საგარეო ვაჭრობის ზრდისა და განვითარებისთვის ხელშემწყობი პირობების შექმნა რაციონალურ გადაწყვეტილებათა მიღების საფუძველზე. წარმატებული სავაჭრო პოლიტიკის ინდიკატორებს შორის მნიშვნელოვანია საგარეო სავაჭრო ნაკადების სტრუქტურა და მიმართულებები.

3.5 განხორციელებული სავაჭრო პოლიტიკა და საბოლოო შედეგები

2018 წელს საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 12 484.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 17.0 პროცენტით მეტია. აქედან, ექსპორტი 3 362.1 მლნ. აშშ დოლარი იყო (22.9 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 9 122.3 მლნ. აშშ დოლარი (14.9 პროცენტით მეტი). უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2018 წელს 5 760.2 მლნ. აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 46.1 პროცენტი შეადგინა.

ეროვნული ბანკის ბოლო 2019 წლის მაისის მონაცემებით საქონლის რეგისტრირებული საგარეო ვაჭრობის დეფიციტი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 14.4 პროცენტით შემცირდა და 417.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საანგარიშო თვეში საქონლის რეგისტრირებულმა ექსპორტმა წლიურად 3.5 პროცენტით მოიმატა და 334.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო იმპორტი 7.3 პროცენტით 751.9 მლნ აშშ დოლარამდე შემცირდა.

იმპორტი

2019 წლის მაისში საქონლის იმპორტი 7.3 პროცენტით შემცირდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. რეგიონის ქვეყნებიდან კლების მაღალი ტემპით

გამოირჩეოდა აზერბაიჯანიდან იმპორტი, ხოლო რუსეთიდან და სომხეთიდან იმპორტი თითქმის არ შეცვლილა. უკრაინიდან იმპორტი მნიშვნელოვნად შემცირებულია. ევროკავშირის ქვეყნებიდანაც იმპორტის კლება დაფიქსირდა, რაც ძირითადად ბულგარეთიდან (ელექტრონული სქემების გამო) და რუმინეთიდან (ნავთობპროდუქტების გამო) იმპორტის კლებას უკავშირდება. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირიდან და დსთ-ს ქვეყნებიდან იმპორტის შემცირება გარკვეულწილად დააბალანსა ცალკეული ქვეყნებიდან იმპორტის ზრდამ. კერძოდ, მნიშვნელოვნად გაიზარდა ჩილედან და აშშ-დან იმპორტი, რაც სპილენძის მადნების და კონცენტრატების სახით რეექსპორტისთვის არის განკუთვნილი. 2019 წლის მაისის მდგომარეობით ძირითადი იმპორტიორი ქვეყნებია: თურქეთი, რუსეთი, ჩინეთი, აშშ, გერმანია, უკრაინა და აზერბაიჯანი. ჯამურად, 7 ძირითადი სავაჭრო პარტნიორებზე მთლიანი იმპორტის 59 პროცენტი მოდის. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით იმპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებულია.

2019 წლის მაისში, იმპორტირებული საქონლის უდიდეს წილს, 8.8 პროცენტს, ნავთობი და ნავთობპროდუქტები წარმოადგენდა, რომელიც წლიურად 16.1 პროცენტით შემცირდა და მთლიანი იმპორტის კლებაში დადებითი წვლილი (1.1 პროცენტული პუნქტი) შეიტანა. ერთი მხრივ, იმპორტზე კლების მიმართულებით არსებითად იმოქმედა მსუბუქი ავტომობილების შემცირებულმა შესყიდვამ და სატელეფონო აპარატების იმპორტის კლებამ. მეორე მხრივ, იმპორტზე ზრდის მიმართულებით იმოქმედა სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, ასევე დაფასოებული სამკურნალო საშუალებების იმპორტმა, რომელიც შემდგომ რეექსპორტისთვის გამოიყენება. გაზრდილია აგრეთვე სატვირთო და მგზავრთა გადამყვანი ავტომობილების იმპორტი. შემცირებულია საბურავების, ბულდოზერებისა და ექსკავატორების იმპორტი, თუმცა მათმა რაოდენობამ უმნიშვნელო წვლილი შეიტანა მთლიანი იმპორტის შემცირებაში. მაისში იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებულია.

ექსპორტი

2019 წლის მაისში საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი წლიურად 3.5 პროცენტით გაიზარდა. საექსპორტო შემოსავლების ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ესპანეთსა და რუმინეთში ექსპორტის მატებამ, რაც დიდწილად სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების რეექსპორტს უკავშირდება. უკრაინაში ექსპორტი გაიზარდა მსუბუქი ავტომობილების, ორთოპედიული სამარჯვებისა და დაფასოებული სამკურნალო საშუალებების ექსპორტის წყალობით, ხოლო რუსეთში ექსპორტი შემცირდა ფეროშენადნობებისა და ყურძნის ნატურალური ღვინოების ექსპორტის კლების გავლენით. გააქტიურებულია ვაჭრობა დსთ-ს სხვა ქვეყნებთან, როგორიცაა ყაზახეთი და ყირგიზეთი. დანარჩენი ქვეყნებიდან აღსანიშნავია ექსპორტის მატება არაბთა გაერთიანებულ საემიროებსა და ირანში. ჩინეთში ექსპორტი შემცირდა სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების რეექსპორტის კლების გავლენით. 2019 წლის მაისის მდგომარეობით ძირითადი საექსპორტო ქვეყნებია: აზერბაიჯანი, რუსეთი, რუმინეთი, სომხეთი, თურქეთი, უკრაინა და ესპანეთი. ჯამურად 7 ძირითადი სავაჭრო პარტნიორების წილი მთლიანი ექსპორტის 65 პროცენტს შეადგენს. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით ექსპორტი ნაკლებად არის დივერსიფიცირებული.

2019 წლის მაისში ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების 3.5 პროცენტიან ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების ექსპორტმა (6.0 პროცენტული პუნქტი) შეიტანა. ექსპორტის მოცულობაზე დადებითად აისახა ასევე მტკნარ წყლებზე, ყურძნის ნატურალურ ღვინოებსა და სპირტიან სასმელებზე საგარეო მოთხოვნის მატება. აღსანიშნავია, რომ მკვეთრ ზრდას განაგრძობს მსუბუქი ავტომობილებისა და დაფასოებული სამკურნალო საშუალებების ექსპორტიდან მიღებული შემოსავლები (ჯამურად 8.8 პროცენტული პუნქტი ექსპორტის ზრდაში). ასევე მნიშვნელოვნად გაზრდილია რეზინის პნევმატური სალტეებისა და ორთოპედიული სამარჯვების ექსპორტი. მაისში შემცირდა ფეროშენადნობების, ყურძნის ნატურალური ღვინოების, სპირტიანი სასმელების და სიგარეტების ექსპორტი. წინა წელთან შედარებით სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებულია.

საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციისათვის საჭიროა სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან ურთიერთობების გაღრმავება. მნიშვნელოვანია ორმხრივი, რეგიონალური და მრავალმხრივი სავაჭრო ურთიერთობების, ასევე პრეფერენციული და თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმების განვითარება.

საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებისა და ექსპორტის ხელშეწყობისთვის საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკა.

საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული იქნა, როგორც სატარიფო პოლიტიკა, ასევე ტექნიკური რეგულირების სფეროს რეფორმა, რის შემდეგაც საქართველოს დღეისთვის გააჩნია ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური რეჟიმი საგარე სავაჭრო პოლიტიკა, რაც გულისხმობს გამარტივებული საგარეო ვაჭრობის რეჟიმსა და საბაჟო პროცედურებს, დაბალ საიმპორტო ტარიფებსა და მინიმალურ არასატარიფო რეგულირებას.

სატარიფო პოლიტიკა იმპორტზე

საქართველოს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური და კონკურენტული სავაჭრო რეჟიმი აქვს. საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად, 2006 წლის 1 სექტემბრიდან საიმპორტო ტარიფების 16 სატარიფო განაკვეთი შემცირდა 3 განაკვეთამდე (0, 5 და 12%). გაუქმდა საიმპორტო ტარიფები პროდუქციის დაახლოებით 85%-ზე. აღარ არსებობს სეზონური ტარიფები. იმპორტირებულ საქონელზე ტარიფი დადგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

სატარიფო პოლიტიკა ექსპორტზე

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად ექსპორტი ან რეექსპორტი საქართველოდან განთავისუფლებულია საბაჟო გადასახადებისგან. გამომდინარე იქედან, რომ 1997 წლის 1 სექტემბრიდან საქართველო იყენებს საქონლის დამატებითი

ღირებულბით დაბეგვრას დანიშნულების ქვეყნის პრინციპით, საქართელოდან ექსპორტი დღგ-ით არ იბეგრება.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, დამატებული ღირებულების გადასახადის და სააქციზო გადასახადის განაკვეთები, ადგილობრივ და იმპორტირებულ პროდუქციაზე თანაბარია.

ლიცენზიები და ნებართვები

ლიცენზიებისა და ნებათვების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, საგარეო ვაჭრობის მიმართულებით, ვაჭრობაში არ არის გათვალისწინებული რაიმე არასატარიფო შეზღუდვები (ლიცენზირება, კვოტირება, აკრძალვები და სხვა) გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილბელია ჯანმრთელობისთვის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვისთვის. კერძოდ შეიძლება გაიცეს შემდეგი სახის ლიცენზიები და ნებართვები:

- ფიტოსანიტარულ და ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარბული პროდუქციის იმპორტის ნებართვა (საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს - სურსათის უვნებლობის სამსახური);
- დაკვირვების ელექტრონული საშუალებების ექსპორტ-იმპორტის ლიცენზია (შინაგან საქმეთა სამინისტრო);
- შეზღუდულად ბრუნვადი მასალების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვა (გარემოს ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო);
- ბირთვული, რადიაციული ობიექტების, ბირთვული მასალების, რადიაქტიული ნივთიერებების, რადიაქტიული ნარჩენების, მინერალების (წიაღისეულის) ექსპორტის, იმპორტის ან ტრანზიტის ნებართვა (ენერგეტიკის სამინისტრო);
- იარაღისა და საბრძოლო მასალების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტის, ტრანზიტის ნებართვა (თავდაცვის სამინისტრო);
- ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვა (სსიპ შემოსავლების სამსახური);

- სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების იმპორტის ან ექსპორტის ნებართვა (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო);
- არაიოდიზირებული მარილის იმპორტის ნებართვა (სსიპ შემოსავლების სამსახური)
- „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატივების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვა (გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

აკრძალულია კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან ექსპორტი - კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ განსაზღვრული ნუსხის მიხედვით.

საგარეო ვაჭრობის ხელშეწყობა საქართველოში

საგარეო ვაჭრობა ქვეყნისთვის მაშინ არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, როდესაც მას დადებითი სალდო აქვს, ანუ ექსპორტი მეტი რაოდენობით გამოისახება ღირებულებაში, ვიდრე იმპორტი. შესაბამისად, ყველა ქვეყანა, ჩვენი ქვეყნის ჩათვლით ცდილობს ექსპორტის წახალისებას. ექსპორტის ხელშეწყობისთვის ქვეყნები ატარებენ მნიშვნელოვან ღონისძიებებს რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ, საქართველოს მაგალითის შესაბამისად.

ექსპორტის მნიშვნელობა რამდენადაც დიდია ქვეყნისთვის, ამდენადვე მნიშვნელოვანია, თუ რა სახის პროდუქტი გაგვაქვს ექსპორტზე. მნიშვნელოვანია რამდენად მრავალფეროვანი ასორტიმენტი გვაქვს, ანუ ქვეყანას აქვს შესაძლებლობა დივერსიფიცირებული საქონელი აწარმოოს და გაიტანოს, თუ ფოკუსირებულია კონკრეტულ დარგებსა თუ მიმართლებებზე.

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოს საექსპორტო პროდუქციის სტატისტიკას თუ დავაკვირდებით დავინახავთ, რომ ექსპორტი ხდება დივერსიფიცირებული, ანუ მეწარმეები სხვადასხვა მიმართულებიდან ცდილობენ თავისი პროდუქტებისთვის ახალი ბაზრების ათვისებას. არსებობს, რა თქმა უნდა, ძირითადი

ჯგუფები, თუმცა ასევე არსებობს ახალი სახის საქონელი, შესაძლებელია მცირე რაოდენობით, თუმცა მაინც, რომელიც გადის სხვა ქვეყნებში.

მნიშვნელოვანია, რომ ექსპორტირებული საქონლის დივერსიფიკაცია მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის, რადგან ერთ კონკრეტულ დარგზე დამოკიდებულება შესაძლებელია რისკის შემცველი იყოს ქვეყნისთვის. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება ამოწურვად ბუნებრივ რესურსებს.

ექსპორტის სტიმუილრების ღონისძიებები

განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკისთვის ზრდის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი შეიძლება იყოს ექსპორტის ზრდა. ეს საშუალებას იძლევა დაძლეულ იქნას ადგილობრივი ბაზრის შეზღუდული შესაძლებლობები და ამაღლდეს პროდუქტიულობა. მოცემულის მისაღწევად ქვეყნები, განვითარებადიც და განვითარებულნიც, იყენებენ სხვადასხვა ექსპორტის სტიმულირების პროგრამას.

ექსპორტის სტიმულირების ეკონომიკური პოლიტიკაში შეიძლება ფართო გაგებით ნაგულისხმევი იყოს ნებისმიერი პოლიტიკა, რომელიც ექსპორტის საბოლოო შედეგზე ახდენს გავლენას. (28) საგარეო ვაჭრობის ხელშესაწყობად გატარებულ ღონისძიებათაგან ერთ-ერთია **ექსპორტის სუბსიდირება.**

ექსპორტის წახალისების ნაწილია სუბსიდირების პოლიტიკა, რომლის ეფექტურობაც პოლიტიკაში არ დასტურდება, იგი მოიცავს:

- ექსპორტისთვის საჭირო იმპორტული წარმოების გადასახადების უკან დაბრუნებას;
- საექსპორტო პროდუქტების საგადასახადო სტიმულირებას;
- პირდაპირი ფინანსური დახმარებების გაცემას იმ კომპანიებისთვის, რომლებიც ექსპორტს ახორციელებენ.

ექსპორტის ხელშესაწყობ სუბსიდირებად ასევე შეიძლება ჩაითვალოს შესაბამისი გრანტები შემდეგი მიმართულებებით:

- მარკეტინგული ვიზიტები;
- კომუნიკაციები და რეკლამები;
- სავაჭრო მისიები და ა.შ.

სუბსიდირების პოლიტიკის ეფექტურობაზე გაკეთებული კვლევები ადასტურებს, რომ გატარებული ღონისძიებები საბოლოო ჯამში, ძირითად შემთხვევებში, არის არაეფექტური. მთავრობები სუბსიდიით წევენ დანახარჯს, რომელიც საბოლოოდ შესაბამისი შედეგის მომტანი შესაძლებელია ვერ აღმოჩნდეს და პირიქით, გააზარმაცოს ექსპორტიორები. რადგან მათ მოცემულ შემთხვევაში იმედი აქვთ შესაბამისი დამხმარე წყაროების და ნაკლებად ფოკუსირებულნი არიან საქმეზე.

ექსპორტის ხელშესაწყობად სუბსიდიების გარდა არსებობს სხვა საშუალებები, მაგალითისთვის როგორიცაა ექსპორტის წამახალისებელი ორგანიზაციები (ეწო-EPO). მსგავსი ტიპის ორგანიზაციების მიზანია ინფორმაციის ვაკუუმის პრობლემის აღმოფხვრა პოტენციური ექსპორტიორებისთვის. ასევე:

- დახმარება მარკეტინგში, შეფუთვაში და ა.შ;
- სტანდარტების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
- იურიდიული დახმარება;
- დაფინანსების მოპოვებაში დახმარება;
- გამოფენებში, სავაჭრო მისიებში დახმარება და ა.შ.

ექსპორტის წამახალისებელმა ორგანიზაციებმა პრაქტიკულად ყველა ქვეყანას რაიმე კუთხით მაინც მოუტანა დადებითი შედეგი. საქართველოს შემთხვევაში, ექსპორტის შესახებ ინფორმაციას იძლევა მეწარმეობის განვითარების სააგენტოს პორტალი „ივაჭრე საქართველოში“ („Trade with Georgia“). თუმცა, ეს პორტალი ინფორმაციას საქართველოდან ექსპორტის შესაძლებლობებისა და კომპანიების შესახებ აწვდის მხოლოდ უცხოელ პარტნიორებს. უფრო სასარგებლო იქნებოდა უცხოური ბაზრების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ადგილობრივი მწარმოებლებისთვის. „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020“-ის მიხედვით, საქართველოს მიერ ექსპორტის სტიმულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებებს შორის საექსპორტო ბაზრების შესახებ ინფორმაციის მიწოდება პრიორიტეტული საკითხია.

ფინანსური სტიმულირების მექანიზმების მიზანია ექსპორტთან დაკავშირებული ფინანსური სირთულეების დაფინანსება: მაგალითად, ექსპორტის დაკრედიტება ან/და

ექსპორტთან დაკავშირებული საქმიანობის დაზღვევა. მსგავსი ტიპის ღონისძიებები ფართოდ გავრცელებულია ლათინური ამერიკის ქვეყნებში, სადაც ხდება როგორც ძირითადი ისე საბრუნავი საშუალებების დაფინანსება.

ასევე ფართოდ გამოყენებული პრაქტიკაა ფაქტორინგის სერვისის შეთავაზება, ექსპორტიორებისთვის ლიკვიდობის პრობლემის შესამსუბუქებლად. სწორედ ამ მიდგომას იყენებს საქართველოში მეწარმეობის განვითარების სააგენტოს პროგრამა „აწარმოე საქართველოში“, რომლის მიზანია: „კერძო სექტორის განვითარება და ექსპორტის ხელშეწყობა“. სააგენტო იყენებს ფინანსურ ინსტრუმენტებს ზოგადად მეწარმეობის ხელშესაწყობად.

სავაჭრო ბარიერების მოხსნა

ექსპორტის სტიმულირების ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა სავაჭრო ბარიერების მოხსნა. განვითარებადი, დაბალშემოსავლიანი ქვეყნები ხშირად აპელირებენ იმაზე, რომ ევროკავშირის პროტექციონისტული პოლიტიკა სოფლის მეურნეობაში ხელს უშლის მათი ექსპორტის ზრდას. თუმცა, სინამდვილეში, განვითარებადი ქვეყენებისთვის მთავარი ხელისშემშლელი არის არა სავაჭრო ბარიერები, არამედ მათი არასაკმარისი უნარი დაიცვან სტანდარტები და პროდუქციის ხარისხი.

ექსპორტის სტიმულირების პოლიტიკა თანხვედრაში უნდა იყოს საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებასთან, რაც მიიღწევა ფინანსური სისტემის გაუმჯობესებითა (გრძელვადიანი დაფინანსების არხების გაჩენა) და საგადასახადო და საბაჟო საქმიანობის გამარტივებით. როგორც ჩანს, ექსპორტის სტიმულირების პოლიტიკა არ არის ერთი ან ორი ინსტრუმენტის წყობა, არამედ - ინსტრუმენტების კომპლექტია.

ექსპორტის სუბსიდირების პოლიტიკის გარდა საქართველო მეტ ნაკლები მასშტაბით უკვე იყენებს ექსპორტის ხელშეწყობის თითქმის ყველა სახის ინსტრუმენტს. ის ინსტრუმენტები, რომლებსაც შედარებით მეტი ეფექტიანობა ახასიათებს ექსპორტის

ხელშეწყობის კუთხით „სტრატეგია 2020“-ის მიერ გამოცხადებულია პრიორიტეტად. ესენია:

- სავაჭრო ბარიერების მოხსნა;
- საერთო საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესება (მაგალითად, სატრანსპორტო და ლოგისტიკური ქსელის გაუმჯობესება)
- საექსპორტო ბაზრების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

ბოლო წლებში ტექნიკური ბარიერების მოხსნისკენ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. ხელი მოეწერა ასოცირების შესახებ ხელშეკრულებას ევროკავშირთან, რაც გაამარტივებს საქონლის ექსპორტის შესაძლებლობებს ევროპულ ბაზრებზე. ჩინეთთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ „სტრატეგია 2020-ით“ განსაზღვრული ეს პრიორიტეტები არ შეიცვალოს და არ იქნეს წამოწყებული ისეთი ტიპის ღონისძიებები, როგორიცაა, მაგალითად, ექსპორტის სუბსიდირების პოლიტიკა (ექსპორტის დაკრედიტება, საგადასახადო შეღავათები და ა.შ.). როგორც პრაქტიკა უჩვენებს, მსგავსი პოლიტიკა არაეფექტურია და დამოკიდებულია ბიუროკრატიული სიტემის გამართულობასა და პროგრამის განმახორციელებლების კვალიფიკაციაზე.

ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს მთავრობა აამოქმედებს ეკონომიკის მარეგულირებელ მექანიზმებს, კრიზისულ შემთხვევაში კი ხელს შეუწყობს ბაზარზე მოთხოვნის სტიმულირებას.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის მთავარი პრინციპი კერძო სექტორის თავისუფლების უზრუნველყოფაა მთავრობის ოპტიმალური, ეფექტიანი და გამჭვირვალე საქმიანობის პირობებში. ეს გულისხმობს იმგვარი ეკონომიკური წესრიგის ჩამოყალიბებას, როდესაც კერძო სექტორი თავად იღებს გადაწყვეტილებებს, დაცულია საკუთრების უფლების უზენაესობა და ეკონომიკური განვითარების მთავარ მამოძრავებელ ძალად კერძო სექტორი გვევლინება. თავისუფალი საბაზრო ურთიერთობები შერწყმული იქნება სახელმწიფო რეგულაციების ოპტიმალურ მოდელთან. სახელმწიფო უზრუნველყოფს თითოეული მოქალაქის კეთილდღეობას. ოპტიმალური და ეფექტიანი

მთავრობის პრინციპზე დაყრდნობით, სახელმწიფო მინიმალურად ჩაერთვება სამეწარმეო საქმიანობაში და კონკურენციას არ გაუწევს კერძო სექტორს. სახელმწიფოს მონაწილეობა ეკონომიკურ აქტივობაში შემოიფარგლება მხოლოდ იმ სფეროებში საქმიანობით, რომლებშიც კერძო სექტორი სუსტი და არაეფექტიანია.

საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობას ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანეს მამოძრავებელ ძალად მიიჩნევს. კონკურენციის არსებობა, როგორც შიდა, ისე გარე ბაზრებზე, ეკონომიკის წარმატებული ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა. საჭიროა საერთაშორისო ვაჭრობაში ორმხრივი გახსნილობის უზრუნველყოფა და თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის არეალის გაფართოება.

ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა და არსებული სიტუაცია სტრატეგია 2020-ის მიხედვით

2004-2018 წლებში საქართველოს ექსპორტი დაახლოებით 5,2-ჯერ გაიზარდა. მიუხედავად ასეთი მასშტაბური ზრდისა, ექსპორტის დივერსიფიკაცია დაბალია, როგორც საექსპორტო ქვეყნების, ასევე, საექსპორტო პროდუქტის მიხედვით. ბოლო წლების განმავლობაში ქართულმა პროდუქტმა ახალ ბაზრებზე დაიმკვიდრა ადგილი. მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოდან მომსახურების ექსპორტი. 2010-2018 წლებში საქართველოს მთავარ საექსპორტო პროდუქტს შეადგენდა: ავტომობილები (ძირითადად რეექსპორტი), ფეროშენადნობები, სპილენძის მადნები, მინერალური წყლები, სასუქები და ზოგიერთი აგრარული პროდუქტი.

დღეისათვის ექსპორტის ძირითად ნაწილს ნედლეული წარმოადგენს. დაბალია ბაზრების დივერსიფიკაციის ტემპი, ხოლო კონკრეტული პროდუქტის და ახალ ბაზრებზე შეღწევის და დამკვიდრების მაჩვენებლები არადამაკმაყოფილებელი. ექსპორტის პოტენციალის ზრდის და ევროპულ ბაზარზე ინტეგრაციისთვის, აუცილებელია, „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

ეს ხელს შეუწყობს ქართული საექსპორტო პროდუქტის ევროკავშირის ბაზარზე შესვლასა და დამკვიდრებას, ასევე, საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების თვისობრივად ახალ საფეხურზე გადასვლას. ამასთან, მნიშვნელოვანია კერძო სექტორის ინფორმირებულობის ამაღლება შეთანხმებით გათვალისწინებულ გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით.

დიდი ყურადღება დაეთმობა აშშ-სთან სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტიით გათვალისწინებული სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გაღრმავებას, მათ შორის, ვაჭრობასა და ინვესტიციებზე მაღალი დონის დიალოგის ფარგლებში მოლაპარაკებების დაწყებას შესაძლო თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე. აუცილებელია საქართველოს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მაქსიმალური და ეფექტიანი გამოყენება და რეგიონული ბაზრების ათვისება, სავაჭრო პარტნიორებთან ვაჭრობაში ხელოვნური ბარიერების შემცირება. ზემოაღნიშნული ტექნოლოგიური განვითარების დონისა და ინოვაციის პრობლემები დიდწილად განაპირობებს ექსპორტის დაბალ დივერსიფიცირებულობას და ნაწილობრივ - ახალ ბაზრებზე დამკვიდრების სირთულეს.

გარდა ამისა, კიდევ რჩება რიგი ფაქტორებისა, რომლებიც აფერხებენ ექსპორტის განვითარებას ახალ ბაზრებზე წვდომის თვალსაზრისით. კერძოდ, ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში არ იძლევა არსებული პრეფერენციული რეჟიმის ეფექტიანად გამოყენების საშუალებას;

3.3 საგარეო ვაჭრობის შემაფერხებელი ფაქტორები

ექსპორტის წახალისების დამხმარე ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო, პოტენციურ საექსპორტო ბაზრებს *არ მიეწოდებათ სათანადო ინფორმაცია ქართული პროდუქტის შესახებ.* რიგ ბაზრებზე შესაღწევად აუცილებელია უკეთესი სავაჭრო რეჟიმის არსებობა. არასათანადო სავაჭრო-ლოგისტიკური ინფრასტრუქტურა ზრდის ექსპორტირების ხარჯებს.

ექსპორტის ზრდის ხელშეწყობის მიზნით განსახორციელებელი პოლიტიკის მიმართულებები ექსპორტის გაფართოება და დივერსიფიცირება კერძო სექტორის პრეროგატივაა. კომპანიების მიერ საექსპორტო ბაზრების და მათ მიმართ არსებული მოთხოვნების შეფასებასა და გამოვლენაში საქართველოს მთავრობას შეუძლია იყოს ქმედითი პარტნიორი. მას შეუძლია:

- არსებულ და პოტენციურ სავაჭრო პარტნიორებთან საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავება და განვითარება;
- საერთაშორისო ბაზრებზე ქართველი ექსპორტიორების ინტერესების დაცვა;
- ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის განვითარება საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად;
- საერთაშორისო ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შემცირება;
- ექსპორტიორებისათვის საექსპორტო ბაზრების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
- სატრანსპორტო და ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა.

ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შემცირება ექსპორტის განვითარების და საერთაშორისო და ევროპულ ბაზრებზე ინტეგრაციისა და საქართველოში წარმოებული პროდუქტისა და მომსახურების კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად, საქართველოს მთავრობა იზრუნებს ვაჭრობაში ჯერ კიდევ არსებული ტექნიკური ბარიერების შემცირებაზე, რაც საქართველოს კანონმდებლობას ევროპულ ნორმებთან დააახლოებს. ეს გამოიწვევს ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის განვითარებას და ხარისხის ეროვნული ინსტიტუტების ინტეგრაციას საერთაშორისო და ევროპულ სისტემებში.

საქართველოს მთავრობა ცდილობს უზრუნველყოს საქართველოს მიერ „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ ფარგლებში აღებული ვალდებულებების თანმიმდევრულ შესრულებას, მათ შორის, მეტროლოგიის, სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების, ტექნიკური რეგულირებისა და ბაზარზე ზედამხედველობის ეროვნული სისტემების ევროპულთან შესაბამისობაში

მოყვანას. ზემოაღნიშნულთან ერთად, საქართველოს მთავრობა აქტიურად თანამშრომლობს რეგიონის ქვეყნებთან და არსებულ სავაჭრო პარტნიორებთან ქართველი მეწარმეების მეზობელი ქვეყნების ბაზარზე შესვლასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად. ამ მიზნით, შეიქმნა ექსპორტიორთა ინტერესების დაცვის ცენტრი, რომელიც მოიძიებს ინფორმაციას საერთაშორისო ვაჭრობაში ექსპორტზე ორიენტირებული ქართველი მეწარმეების პრობლემების შესახებ.

აგრარული პროდუქტის ექსპორტის ხელშეწყობა საქართველოს მთავრობა ხელს უწყობს სექტორის მოდერნიზაციას და კონკურენტუნარიანობის ზრდას. აგრარული პროდუქტის ექსპორტის პოტენციალის ზრდის მიზნით, საერთაშორისო და ევროპული ნორმების შესაბამისად, განვითარდება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და ფიტოსანიტარიის სისტემები „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ ფარგლებში აღებული ვალდებულებების ეტაპობრივი შესრულების გზით. „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებით“ აღებული ვალდებულების შესასრულებლად, ასევე, სხვა პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმიდან სარგებლის ზრდის და საქართველოში წარმოებული აგრარული პროდუქტის საერთაშორისო ბაზრებზე შეღწევის და დამკვიდრების მიზნით, საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს მეწარმეთა ინფორმირებულობის ზრდას სურსათის უვნებლობასთან, ვეტერინარიასა და ფიტო-სანიტარიასთან, „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ ფარგლებში გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით საერთაშორისო და ევროპულ ბაზრებზე არსებული მოთხოვნების და ექსპორტის შესაბამისი პროცედურების შესახებ.

საქართველოს მთავრობა მხარს უჭერს პროდუქტის ადგილწარმოშობის დასახელების სქემის გაფართოებას და ქართული ბრენდების შემდგომ განვითარებას.

ექსპორტის განვითარების დამხმარე სისტემების შექმნა საქართველოში წარმოებული პროდუქტისა და მომსახურების კონკურენტუნარიანობის ამაღლების, მათი საერთაშორისო ბაზრებზე დამკვიდრების მიზნით, ხელი შეეწყობა ექსპორტის განვითარების დამხმარე სისტემების შექმნას, რაც უზრუნველყოფს საქართველოს

საექსპორტო პროდუქტისა და საექსპორტო ბაზრების შესახებ მეწარმეების ინფორმირებულობას. ამ სფეროში განსაკუთრებულ როლს შეასრულებს სსიპ - მეწარმეობის განვითარების სააგენტო, რომელიც საექსპორტო პოტენციალის გაძლიერების მიმართულებით იმუშავებს. სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტო მეწარმეებს გააცნობს პოტენციურ საექსპორტო ბაზრებს, ამ ბაზრებზე არსებულ მოთხოვნებს, საერთაშორისო ბაზრებს კი მიაწვდის ინფორმაციას საქართველოში წარმოებული პროდუქტისა და მომსახურების შესახებ.

საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების განვითარება/გაღრმავება ექსპორტის პოტენციალის ზრდის და საქართველოში წარმოებული პროდუქტის და მომსახურების კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად საქართველოს მთავრობა გააღრმავებს თანამშრომლობას არსებულ და პოტენციურ სავაჭრო პარტნიორებთან პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმის განსავითარებლად.

გარდა ამისა, გაგრძელდება ინტენსიური მუშაობა აშშ-თან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად მოლაპარაკებების დაწყებისა და რეგიონულ დონეზე არსებული სავაჭრო კავშირების გაღრმავების მიზნით. საქართველოს მთავრობა ითანამშრომლებს მეზობელ სახელმწიფოებთან, რათა ქართულ პროდუქტს უცხო ბაზარზე არ შეექმნას ხელოვნური ბარიერი.

მოსალოდნელი შედეგები ზემოაღნიშნული ღონისძიებების მთავარი შედეგი იქნება ექსპორტის როლის ზრდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესში, რაც გულისხმობს გაზრდილ ექსპორტს და საექსპორტო პროდუქტის დივერსიფიკაციას, კომპანიების ახალ ბაზარზე შეღწევას და დამკვიდრებას. ქართული ბიზნესის საერთაშორისო ბაზრების კონკურენტულ გარემოში ინტეგრაცია გაზრდის მწარმოებლურობის სტიმულს და, შესაბამისად, ხელს შეუწყობს უფრო მაღალი დამატებული ღირებულების მქონე პროდუქტის ექსპორტს.

სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის განვითარება სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის, მათ შორის, ირიგაციის და დრენაჟის

სისტემების განვითარებას. ირიგაციის და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესება განაპირობებს წყლის გამოყენებას, დრენაჟის ეფექტიანი სისტემების (მათ შორის, წვეთოვანი რწყვა, გაფრქვევითი ირიგაცია და სხვა) შექმნა/განვითარებას და მათზე ფერმერთა ხელმისაწვდომობის ზრდას, ასევე წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიების მიწოდებას ფერმერებისათვის რესურსების ოპტიმალურად გამოსაყენებლად და მწარმოებლურობის ასამაღლებლად. სოფლის მეურნეობის როგორც მწარმოებლურობის, ასევე კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის ხელი შეეწყობა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის გადამამუშავებელი/შემნახველი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მათ შორის, ინვესტიციების მოზიდვის გზით, რაც უზრუნველყოფს როგორც ადგილობრივი მოთხოვნის დაკმაყოფილებას, ასევე საექსპორტო პოტენციალის ზრდას. რეგიონული და ადგილობრივი განვითარების წახალისების და ადგილობრივ დონეზე კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად, საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს ადგილობრივი და შიდა გზების, ასევე სხვა სატრანსპორტო და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარებას.

მოსალოდნელი შედეგები

სახელმწიფო პოლიტიკის მთავარი მიზანი ტრანსპორტირების და ლოგისტიკის სფეროებში საქართველოს რეგიონის ლიდერად გადაქცევაა. გაიზრდება როგორც მოძრაობის ინტენსივობა და ტვირთბრუნვა, ასევე, გადამუშავებული ტვირთის მოცულობა, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ზრდას. სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის კუთხით განხორციელებული პოლიტიკის შედეგად, გაიზრდება როგორც პირველადი სასოფლო-სამეურნეო წარმოების, ასევე, მასთან დაკავშირებული გადამამუშავებელი მრეწველობის მწარმოებლურობა. ამაღლდება როგორც ფერმერული მეურნეობების, ასევე, აგრარული პროდუქტის კონკურენტუნარიანობა. ქვეყნის მასშტაბით განვითარდება წყალმომარაგების და მყარი ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემები. განხორციელებული პოლიტიკის შედეგად გაიზრდება საქართველოში გამომუშავებული ენერგიის მოცულობა, რაც განაპირობებს

ენერგიის იმპორტის შემცირებას და გაზრდის ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობას. ამ პროცესში გათვალისწინებული იქნება გარემოზე ზემოქმედების ფაქტორი. საქართველოში გენერირებული ენერგიის ზრდის პარალელურად მოსალოდნელია ენერგიის ექსპორტის ზრდა და საექსპორტო ბაზრების შემდგომი დივერსიფიკაცია. გარდა ამისა, განვითარდება კონკურენტული გარემო და გამარტივდება ენერგიის წყაროებთან მიერთების პროცესი.

3.6 საგარეო ვაჭრობის ხელშემწყობი პოლიტიკა

(დამატებითი რეკომენდაციები 2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის მიხედვით).

საქართველოს მთავრობა მოტივირებულია საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციისთვის სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან გააღრმავოს ეკონომიკური ურთიერთობები. რისთვისაც იგი დებს ხელშეკრულებებს: ორმხრივი, რეგიონალური და მრავალმხრივი სავაჭრო ურთიერთობების, ასევე პრეფერენციული და თავისუფალი სავაჭრო რეჟიმების განვითარებისთვის. მოცემულის შესაბამისად და ევროკავშირთან გაფორმებული ღრმა და ყოვლისმომცველი ხელშეკრულების გამოყენებით ხელი ეწყობა საგარეო ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შემცირების და ქვეყანაში წარმოებული პროდუქტისა და მომსახურების საეთაშორისო და ევროპულ მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხს.

საგარეო ვაჭრობის ხელშეწყობით საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებისა და ექსოირტის ხელშესაწყობად მნიშვნელოვანია არ შეწყდეს ანალიზი თუ რა მიმართულებების განვითარებაა მნიშვნელოვანი ქვეყნისთვის, მნიშვნელოვანია DCFTA შეთანხმების განხორციელების სრული კოორდინაცია.

საგარეო პოლიტიკის სწორად გატარება მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდისთვის ნებისმიერი მიმართულებით, შესაბამისად, საგარეო ვაჭრობის კუთხითაც. მნიშვნელოვანია ქვეყანამ შეასრულოს 2019-2022 წლების საგარეო პოლიტიკის სტრატეგიაში მოცემული

პუნქტები, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარება ეკონომიკას განვითარებაში. რეკომენდაციები შემდეგნაირია:

1. ეკონომიკური დესპანის ინსტიტუტის ეფექტური გამოყენება. ეკონომიკურ დესპანს და დიპლომატიურ წარმომადგენლობებს, შესაბამისი მოლაპარაკებების წარმართვით შეუძლიათ ხელი შეუწყონ საგარეო ვაჭრობას, გახსნან ვაჭრობის ახალი არხები, გაუწიონ პოპულარიზაცია ქართულ პროდუქტს, მოიძიონ ინფორმაცია და წარმართონ მოლაპარაკებები ახალ სავაჭრო პარტნიორებთან

2. ქართული ბიზნესის მხარდაჭერა/ლობირება. რადგან საქართველოს ეკონომიკა ჯერ კიდევ განვითარებადის სტატუსს ატარებს და იგი ვერ არის განვითარებული, აუცილებელია ქართული ბიზნესის რაღაც დონით ხელშეწყობა საერთაშორისო ასპარეზზე ქვეყნის მხრიდან. მნიშვნელოვანია კონკრეტული საექსპორტო პრეფერენციების შექმნა და საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაცია, ქართული ღვინისა და პროდუქტის პოპულარიზაცია. საზღვარგარეთ გამოფენებში, ფორუმებსა და სხვა ბიზნეს ღონისძებებში მონაწილეობა. საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის იმიჯის განმტკიცება და სექტორული ტურიზმის (ბიზნეს და საკონვენციო ტურიზმის, ახალგაზრდული ტურიზმი, სარეკრეაციო ტურიზმი, ეკოტურიზმი, ღვინის ტურიზმი, ბალნეოლოგიური და კლიმატური ტურიზმი და სხვა) განვითარების ხელშეწყობა. უცხოეთში ქართული ბიზნეს სუბიექტების უფლებების დაცვა და მათი საქმიანობის ხელშეწყობა. ინტელექტუალური საკუთრებისა და ქართული სავაჭრო ნიშნების დაცვა. პრიორიტეტული იქნება ეკონომიკის ისეთი თანამედროვე დარგების განვითარების ხელშეწყობა, როგორიცაა მაღალტექნოლოგიური დარგები და ციფრული ეკონომიკა.

3. ლიბერალური სავაჭრო რეჟიმების გაფართოება და ექსპორტის ხელშეწყობა. საქართველოსთან თავისუფალი ორმხრივი ვაჭრობის რეჟიმის მქონე ქვეყნების რაოდენობის მაქსიმალური ზრდა, გეოგრაფიული არეალის კიდევ უფრო

გაფართოება და ქართული პროდუქციის ექსპორტის ხელშეწყობა/ბაზრების დივერსიფიცირება;

4. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების, მათ შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესაძლებლობების ეფექტური განხორციელება. ეფექტიანი კოორდინაციის გზით პოლიტიკური ინსტიტუტების გაძლიერების, ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით შემდგომი პროგრესის მიღწევის, მართლმსაჯულების სისტემის რეფორმების გაგრძელებისა და კორუფციასთან ბრძოლის კუთხით არსებული მიღწევების შენარჩუნებისა და გაუმჯობესების უზრუნველყოფა.

5. ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო სივრცის უფრო მეტად გამოყენება, სოფლის მეურნეობისა და სამრეწველო პროდუქტების ექსპორტის გაზრდის გზით. ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში (ტრანსპორტი, ენერგეტიკა, გარემოს დაცვა, ციფრული სფერო, ელექტრონული კომუნიკაციები) თანამშრომლობის გაღრმავება კონკრეტული და შედეგზე ორიენტირებული ინიციატივებით.

საბაჟო და სავაჭრო ხელშეწყობა

DCFTA შეთანხმება ეხება საბაჟო საკითხებში თანამშრომლობასა და პროცედუების გამჭვირვალობას. შეთანხმების ფარგლებში, ძალაში შესვლიდან 4 წლის ვადაში ქართულ მხარეს ეკისრება ქართული საკანონმდებლო ბაზის 1992 წლის 12 ოქტომბრის ევროკავშირის საბჭოს რეგულაციასთან (ევროკავშირის საბაჟო კოდექსი) დაახლოების ვალდებულება, სადაც მოიაზრება საქართველოს საბაჟო სისტემაში ევროჯავშირში მოქმედი პროცედურების დანერგვა, საქართველოსა და ევროკავშირის ბიზნესის წარმომადგენლებისთვის ერთნაირი რეგულირების გარემოს შექმნის მიზნით. ამისთვის დასანერგია კერძო სექტორის კანონმორჩილების უფრო მაღალი სტანდარტი, ასამაღლებელია საბაჟო კონტროლის ეფექტიანობა.

შეთანხმების ძალაში შესვლიდან 4 წლის ვადაში ქართულმხარეს ეკისრება ვალდებულება, შეუერთდეს საქონლით ვაჭრობის გამარტივებულ პროცედურებს, დაუახლოვდეს ინტელექტუალური საკუთრების საზღვარზე დაცვის მარეგულირებელ წესებს ევროპაში მოქმედი შესაბამისი რეულაციებისა და დირექტივების მიხედვით.

იმ შემთხვევაში თუ ქართული საბაჟო რეგულაციები დაუახლოვდება ევროკავშირის რეგულაციებს საქათვეოსა და ევროკავშირის საბაჟოებს შორის ჩამოყალიბდება მჭიდრო თანამშრომლობა, რაც ხელს შეუწყობს საქართველო ევროკავშირს შორის ექსპორტ-იმპორტის პროცედურების გამარტივებას.

საკანონმდებლო დაახლოების პროცესი კერძო სექტორს საშუალებას მისცემს მინიმუმამდე შეამციროს საქართველოსა და ევროკავშირის სხვადასხვა სამართლებრივი ვალდებულებების შესრულების შედეგად დანახარჯების ოდენობა იმპორტ-ექსპორტირებისას. ტრანზიტის საბაჟო პროცედურის ჩატარებისას საქართველოს საბაჟოს მიერ გაცემული სატრანზიტო დოკუმენტაცია და გარანტია იმოქმედებს ევროკავშირის (შვეიცარია, ნორვეგია, თურქეთი) მასშტაბით და გადამზიდავები ვალდებულნი აღარ იქნებიან განმეორებით მოიპოვონ გარანტია ან ტრანზიტის ქვეყანასთან გააფორმონ დამატებითი დოკუმენტაცია. ეს იქნება დამატებითი დანაზოგი საქართველოში მომუშავე მეწარმეებისა და ექსპორტიორებისთვის და დადებითად იმოქმედებს ქართული საქონლის ღირებულებასა და კონკურენტუნარიანობაზე.

ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მიზანია საქართველოს ბაზარზე უფრო ხელსაყრელი პირობები შეუქმნას, როგორც ინტელექტუალური საკუთრების უფლების მატარებელ საქონლის ადგილობრივ მოხმარებას, ისე ინტელექტუალური საკუთრების უფლების მქონე პირებს. გაყალბებული პროდუქციის იმპორტისას, საავტორო უფლებისმინიმუმამდე შემცირება უფრო ხელმისაწვდომს გახდის ხარისხიან პროდუქციას და გააუმჯობესებს მომხმარებელთა უფლებების დაცვას, ასევე ხელს შეუწყობს სამართლიან კონკურენციას და ინვესტიციების მოზიდვას.

დასკვნა

საქართველოს ეკონომიკა სულ უფრო მეტად ერთვება მსოფლიო მეურნეობაში. თუ სავაჭრო ბალანსის სალდოს დავაკვირდებით, შევამჩნევთ, რომ მნიშვნელოვანწილად ვართ დამოკიდებულნი საგარეო ბაზრებზე, მათ შორის მეზობელ სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებზეც. ექსპორტირებული პროდუქცია არ არის შესაბამისად დივერსიფიცირებული და მასში ძირითად ნაწილს წარმოადგენს ბუნებრივი რესურსები. ქართველ მომხმარებელთა მოთხოვნები კი, ჯერ კიდევ ძირითადად იმპორტის გზით კმაყოფილდება.

საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი აქვს ძირითად პარტნიორ ქვეყნებთან. მოცემული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად კი საჭიროა გადაიდგას მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რომელიც ქართულ ეკონომიკას მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენციას განუვითარებს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ მრავალი მნიშვნელოვანი ორმხრივი თუ მრავალმხრივი ხელშეკრულება გააფორმა ქვეყნებთან და ქვეყანათა ჯგუფებთან, არ არის იმის დრო, რომ ქვეყანა მოდუნდეს და გამუდმებით არ ისწრაფოდეს უფრო მაღალი ზრდის ტემპის მისაღწევად.

მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება, რამაც საგარეო ვაჭრობა ახალ საფეხურზე გადაიყვანა, შემდეგი და ჩვენი ქვეყნისთვის ლოგიკური განვითარება იყო ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი ხელშეკრულების გაფორმება, რომელმაც საქართველოსთვის ევროკავშირის ბაზარი ხელმისაწვდომი გახადა.

საგარეო ვაჭრობის მონაცემებს თუ გადავხედავთ ტრადიციული სავაჭრო ურთიერთობები ქვეყნებთან მაინც მნიშვნელოვანია, რადგან სავააჭრო პარტნიორებს მიჩვეული ქართული ბიზნესი რთულად ახერხებს გადაეწყოს ევროკავშირის ბაზარზე. ჩვენი ქვეყანა ცდილობს გაატაროს პოლიტიკა, რომელიც განავითარებს ბიზნესს, ჩართოს ბიზნესი ქვეყნის წინსვლის საკითხში, თუმცა მნიშვნელოვანი შედეგები შესაძლებელია ვნახოთ გრძელვადიან პერიოდში.

ქართულ ბიზნესს ჯერჯერობით არ დაუგროვებია იმდენად დიდი გამოცდილება, რომ მთლიანად და მარტივად მოერგოს ხარისხზე ორიენტირებულ ბაზარს, შესაბამისად პრიორიტეტები ინაცვლებს შედარებით მარტივად მისაღწევისკენ. მიუხედავად ამისა, ქვეყანა ცდილობს შექმნას ისეთი პოლიტიკური და ეკონომიკური ფონი, რომ ქვეყანაში იწარმოებოდეს დივერსიფიცირებული პროდუქცია, დივერსიფიცირებული ბაზრისთვის. შემცირდეს დამოკიდებულება ერთ კონკრეტულ ბაზარზე, რაც მეტი დამოუკიდებლობის შესაძლებლობას მოგვცემს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რ.გველესიანი, ი.გოგორიშვილი, ეკონომიკური პოლიტიკა, წიგნი I, თბ.2008
2. ი.ნათელაური - საგარეო ეკონომიკური კომპლექსის ფუნქციონირება და განვითარება, თბ.2004
3. ი.მესხია - საერთაშორისო ვაჭრობა, თბ. 2012
4. ო. აბესაძე - ევროკავშირთან საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაციის სტატისტიკური ანალიზი, დისერტაცია - თბ. 2015
5. თ.მიქაბერიძე - საქართველოს საგარეო ვაჭრობა და მისი განვითარების ტენდენციები WTO-ს შეთანხმების საზღვრებში, დისერტაცია - თბ.2016
6. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0periodika--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL3.1.39&d=HASH2b8a9d97d903b1b8767c12.10.2&gt=1
7. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL1.22.6&d=HASH17980266a54300d1658d08.5
8. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1097732
9. http://www.moa.gov.ge/7/AboutDCFTA
10. http://www.dcfta.gov.ge/public/filemanager/publications/%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A3%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90.pdf
11. http://ac1.rs.ge/course/view.php?id=21
12. http://www.sakpatenti.gov.ge/ka/
13. https://matsne.gov.ge/ka/document/view/25426
14. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3710531

15. https://lib.bsu.ge/e-books/book_279.pdf
16. http://hdr.undp.org/en/2018-update
17. http://www.economy.ge/?page=ecoreview&s=20
18. https://atlas.media.mit.edu/en/visualize/line/hs92/show/aze/all/all/1995.2017/
19. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba
20. http://competition25.ge/public/uploads/media/gaganidzeGiorgi.pdf
21. http://mfa.gov.ge/getattachment/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy/2019-2022-clebis-saqartvelos-sagareo-politikis-strategia.pdf.aspx
22. https://eprc.ge/admin/editor/uploads/files/Ukraina_A5_GEO_WEB.pdf
23. https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2019/annual_report_2018_.pdf
24. http://regional-dialogue.com/georgia-russia-trade/
25. http://www.papava.info/publications/Papava_RUSSIA_AND_GEORGIA_SEARCHING_THE_WAY_OUT_Ge.pdf
26. http://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy/%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%AE%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98-%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.aspx
27. http://geworld.ge/ge/%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%91%E1%83%90%E1%83%98%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1/
28. https://idfi.ge/ge/problems-of-georgia-export
29. https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/2019_association_implementation_report_georgia_ka_2.pdf